პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დაწესებულებათათვის [illegible]—75 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებანი: სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

კევი 31 ოქტომბერი 1924 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კ. № 250 (1105)

[illegible]

— [illegible] მთელ [illegible] აქვს.

— პოლონეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის მომხრეა [illegible] „ზნეობრივი განიარაღების".

— ამ [illegible] ხანში საბჭოთა კავშირში ჩამოვა საფრანგეთის ცნობილი მწერალი ანრი ბარბიუსი.

— პოლონეთში დაიწყო პარტიზანულ გამოსვლებში მონაწილე გლეხთა პროცესი.

— რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კამენევმა.

რტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს 31 ოქტომბერს

ან პარტიულ დღეს

წესრიგი წამოაყენონ თვით იაჩეიკებმა

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი

ოკრატიზმი და შრომის ნაყოფიერება

> „ჩვენ ამჟამად დღის წესრიგში დავსვით უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა, არსებითად რომ ვსთქვათ, კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვების ძირითადი საკითხი,—შრომის ნაყოფიერების აწევის და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის ამოცანა. მაგრამ შეიძლება განა ამ ამოცანის გადაჭრა ან სერიოზული ნაბიჯის გადადგმა მის გადასაჭრელად, თუ არ ვამხილეთ, არ მოვსპეთ ის საშინელი უმზგავსოებანი,—უპატიოსნობა, დაუდევრობა, უსაქმურობა, ხელგაშლილობა, რომლებითაც აღსავსეა ჩვენი სამეურნეო ცხოვრება?"
>
> ლ. ტროცკი.

[illegible] ფართოთ არის დასმული [illegible] ნაყოფიერების გაზრდის საკითხი. მაგრამ საკითხის ფართოთ დასმა არ ნიშნავს მის გადაჭრას. [illegible] ლოზუნგი „ავწიოთ შრომის ნაყოფიერება", სარგებლობას [illegible] მისდამი ყოველმხრივი [illegible] და გამოკვლევა, [illegible]. შრომის ნაყოფიერების [illegible] საკითხი უნდა დაუკავშირდეთ [illegible] მუშაობის ყველა მხარეებს [illegible] ჩვენი მუშაობის ვერც ერთ [illegible], რომელსაც კავშირი არ [illegible] ნაყოფიერებასთან. [illegible] ტურული მუშაობა უნდა ჩაითვალოს შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხის მთავარ მომენტათ, ვინაიდან რამდენათ მეტათ კულტურული იქნება მუშაკი (როგორც მუშა, ისე მოსამსახურე), იმდენათ მაღალი იქნება მისი შრომის ნაყოფიერება. [illegible] კულტურობა ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას.

[illegible] ბიუროკრატიზმი. ბიუროკრატიზმს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს შრომის ნაყოფიერების სიმცირესთან. ბიუროკრატიზმი ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას! [illegible] ბიუროკრატს შეუძლია ათასობით გადაქციოს მრავალი თანამშრომლის ცდა შრომის ნაყოფიერების გაზრდაში. ბიუროკრატიზმი სათავეშივე კლავს შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეს.

ბიუროკრატიზმი სხვადასხვა ფორმის არის.

თუმცა ყველა ეს ფორმები ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების [illegible] მხილეთ ბიუროკრატიზმის ის ფორმა, რომელსაც უშუალოთ აქვს კავშირი შრომის ნაყოფიერების აქ დასმულ საკითხთან.

როგორ სდგას შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი? ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა მის გადაჭრაში? შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი მთელი საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასის საქმით არის გამოცხადებული, შრომის ნაყოფიერების გაზრდაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მასებმა. ეს უკანასკნელი ერიად მნიშვნელოვანი მომენტი არის ჩვენ ამით განვირჩევით კაპიტალისტების სახელმწიფოებიდან, სადაც შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი იჭრება კაბინეტებში და აგებულია მთლიანათ მუშების ულმობელ ექსპლოატაციაზე. პროლეტარულ დიქტატურის ქვეყნებში—საბჭოთა რესპუბლიკებში კი შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხი მთელი მუშათა კლასის აქტიური ჩარევით იჭრება. ძირიდან, ფართო მასებიდან იწყება პრაქტიკულათ ამ საკითხის გადაჭრა. ვინც ამას დაივიწყებს, თვითონ ის გახდება ბიუროკრატი, და, როგორც ასეთი, გაძევებული უნდა იქნეს საბჭოთა აპარატიდან.

როგორ უნდა მივუდგეთ ამ საქმეს პრაქტიკულათ?

უპირველეს ყოვლისა თვითეულმა (მუშა-მოსამსახურემ, პასუხისმგებელმა მუშაკმა) უნდა გაზარდოს მაქსიმალურად პირადი შრომის ინტენსივობა. ამ მხრივ თავის დაზოგვა ნიშნავს ბოროტებას და კონტრ-რევოლუციის ხელის შეწყობას.

პირადი შრომის ინტენსივობის გაზრდის გარდა, თვითეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო მუშაობის მოწესრიგებაში. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა არ იქნება არავისგან დაფარული შემჩნეული დეფექტი. ამ მიზნით ეწყობა ეგრეთ წოდებული საწარმოო თათბირები, სადაც მონაწილეობას ღებულობენ მუშების ფართო მასები. ერთი სიტყვით პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლება სთხოვს თვითეულ მუშას და ყველას მათ, ვინც დაინტერესებულია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაში, თვალყური ადევნოს საბჭოთა ორგანოების მუშაობას და არ დატოვოს გამოუმჟღავნებლათ არც ერთი შემჩნეული ნაკლი, უწესრიგობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვა. თვითეული წარმოება—დაწესებულების მომუშავე ვალდებულია განაცხადოს, თუ რა უშლის ხელს მუშაობას, რისგან არის გამოწვეული ესა თუ ის დეფექტი და როგორ შეიძლება ის გამოსწორებული იქნეს.

არც ერთი ნაკლი, რაგინდ უმნიშვნელო იყოს ის, არ უნდა იქნეს მიფუჩეჩებული, თვითეულმა უნდა ასტეხოს განგაში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შემჩნეულ დეფექტის შესახებ. ჩვენთვის ძვირფასია სალი კრიტიკა. მას ხელს კი არ უნდა უშლიდეთ, არამედ კიდეც უნდა ვთხოვდეთ ამ კრიტიკას ყველას ვინც დაინტერესებულია ჩვენს მუშაობაში. რამდენათ მეტი რიცხვი მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში, იმდენათ უფრო ჩქარა გამოსწორდება მუშაობის დეფექტები და გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

ყველამ უნდა ხმა გამოიღოს, ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

[illegible] დაუშლის ამას? ბიუროკრატიზმი. **ბიუროკრატიზმს შეუძლია ჩაკლას მასის შრომის მოწესრიგების საკითხში მონაწილეობის სურვილი.** გონება ჩლუნგი ბიუროკრატი კიდევ ვერ შეამჩნევს, რომ ის ასეთ მნიშვნელოვან საქმეს ხელს უშლის.

ბიუროკრატიზმის მიერ შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში ხელის შეშლა სხვადასხვა ნაირ სახეს მიიღება. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

საწარმოო თათბირზე მშრალი, ფორმალური, ბიუროკრატიული ხასიათის მოხსენების გაკეთება, მუშებისათვის გაუგებარი ტერმინებით, ბუხგალტერული ხასიათის ციფრებით (დებეტი, კრედიტი), უშინაარსო და უსულო;

მოხსენების „ცნობისათვის" მიღება: ესე იგი გამოუაშკარავებელი ნაკლი გაუსწორებლათ რჩება და გადადიან „მორიგ საკითხზე";

კრიტიკის გამკეთებლის და დეფექტების მჩვენებლის ჩაჩუმება და ცდა მათი გამოსვლების პირადული ხასიათის გამოსვლათ მონათვლისა;

ნაჩვენებ დეფექტების უარყოფა და სულ იმის მტკიცება, რომ „ჩემს" ორგანოში ყველაფერი კარგათ არის და დეფექტებს ადგილი არ აქვს. ამასთან დაკავშირებით ტრაბახი და სიცრუე, რომ თავიანთი თავი იდეალურ ხელმძღვანელათ გამოიყვანონ;

სამიდან, სამუშაოდან განდევნა ან გაძევების ცდა იმ მომუშავეებისა რომელნიც ამხილებენ ამ ორგანოს დეფექტებს;

დეფექტის ჩვენების და კრიტიკის პირად შეურაცყოფათ მიღება და სხვა ამგვარი.

კიდევ ბევრი ასეთების მოყვანა შეიძლებოდა აქ, მაგრამ ესეც საკმარისი არის. საერთოდ ბიუროკრატების მიერ შრომის მოწესრიგების საქმისადმი ხელის შეშლა პრაქტიკაში სხვა და სხვანაირ სახეს ღებულობს. მაგალითად ადგილი ჰქონდა ერთი ორგანოს ხელმძღვანელის შემდეგ გამოსვლას:

— როგორ შეიძლება კრებაზე აღნიშნულ დეფექტების ოქმში შეტანა?! ეს ნიშნავს ამ ორგანოს ხელმძღვანელის უნდობლობის გამოცხადებას! ხელმძღვანელი დანიშნულია უმაღლეს ორგანოსაგან, მაშასადამე, თქვენ ამ უმაღლეს ორგანოსაც უნდობლობას უცხადებთ, ეს კი ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლას!

ეს სიტყვები არ არის გამოგონილი —ის ნამდვილათ იყო წარმოთქმული. ჩვენდა სამწუხაროთ საბჭოთა აპარატში კიდევ შეხდებით აქ-იქ ასეთ მოუფიქრებელ, დამღუპველ მსჯელობას. ასეთი გამოსვლები კი ბევრს ძირიან-ფესვიანათ უკლავს სურვილს გამოვიდეს და ხმამაღლა აღნიშნოს შემჩნეული დეფექტი.

— გმადლობთ, ამხანაგო (ან მოქალაქე), დეფექტების ჩვენებისათვის, რაც სიმართლეა თქვენს ნალაპარაკევში მივიღებთ სახელმძღვანელოთ! აი ამ სიტყვებით უნდა მივმართოთ ყველას, ვინც ჩვენი მუშათა საქმის გულწრფელი მსახურია და თავისი კრიტიკით ხელს გვიწყობს. საქმის მეთაურების ლექსიკონიდან უნდა ამოიფხიკოს ასეთი სიტყვები: „სტყუით" „თქვენ პირადი ხასიათის მიზეზები ლაპარაკობთ", „თქვენ ჩემს წინააღმდეგ გაქვთ რაღაცა გულში", „თქვენ გსურთ ჩემი გაშავება" და სხ. ასეთი სიტყვები ჩვევიათ გონება ჩლუნგ ბიუროკრატებს.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის საჭიროა ბიუროკრატების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა. ამ საქმეში (როგორც ყველგან) ამ საშინელი სნის დამარცხება ნიშნავს საქმის ნახევრად და მეტად გაკეთებას, ჩვენ გამარჯვებას.

ტომელი.

საბჭოთა კავშირის უდიდესი გამარჯვება

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეერთებულ შტატებში

ფიქრობენ, რომ ამერიკა ახლო ხანში იცნობს საბჭოთა კავშირს

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კონფერენცია გაიხსნება იანვარში პარიზში

მსოფლიო პრესა საფრანგეთის მთავრობის ნაბიჯს სთვლის საბჭოთა კავშირის უდიდეს გამარჯვებად

საფრანგეთის კომპარტიამ საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს გამოუგზავნა მილოცვა

შთაბეჭდილება ამერიკაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტ. საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკაში. დღემდე იქ ფიქრობდენ, რომ საფრანგეთს საბჭოთა კავშირისადმი უჭირავს შეურიგებელი პოზიცია და ამით ამართლებდენ იუზის პოლიტიკას.

„ნიუ-იორკ-ტაიმს" ცდილობს შეასუსტოს ცნობის მნიშვნელობა და ამბობს, რომ ერიო სრულებით არ უცქერის სიმპატიით საბჭოთა კავშირს, მაგრამ იძულებული იყო ეცნო ის საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით.

სახელმწიფო დეპარტამენტი არაფერს ამბობს ცნობის შესახებ, მაგრამ მისი ზოგიერთი გამოჩენილი მოხელეები ცდილობენ ჩააგონონ ჟურნალისტებს, რომ საფრანგეთს ამ ცნობით სურს ნავთის კონცესიების მიღება საბჭოთა კავშირში.

რესპუბლიკანელი სენატორი ბორა, რომელიც არაერთხელ მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ცნობას ამერიკის მიერ, ულოცავს საფრანგეთს საბჭოთა კავშირის ცნობას.

სენატორი კარაუეი (დემოკრატი) სავსებით იწონებს ერიოს ნაბიჯს და მოითხოვს, რომ ამერიკამაც იცნოს საბჭოთა კავშირი.

ნიუ-იორკი, 29 ოქტ. „იუნაიტედ პრესს"-ის სააგენტომ დაგზავნა დეპეშით შემდეგი ცნობა საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ:

„საფრანგეთის მიერ საბჭოთა მთავრობის ფორმალური ცნობა დაბეჯითებით ამტკიცებს იმას, რომ კომუნისტები ეკონომიურად აძლიერებენ საბჭოთა კავშირს. საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის დადასტურებაა მისი ცნობის საზით მოხდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საფრანგეთის ექსპერტებმა დაწვრილებით შეისწავლეს საბჭოთა კავშირის მდგომარეობა.

ცნობა იმას არ ნიშნავს, რომ ერიო იწონებს ბოლშევიზმს, ეს იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთმა შეუძლებლად სცნო, რომ ფრანგები ასწავლიდენ რუსებს თავისი ხელისუფლების გაძღოლას. ფრანგები დარწმუნდენ, რომ კომუნისტური რეჟიმი სავსებით განმტკიცდა რუსეთში და მის შეუძლია ილაპარაკოს რუსეთის ხალხის სახელით და განახორციელოს მის მიერ დადებული ხელშეკრულებანი. საბჭოთა კავშირმა მიაღწია მის ცნობას პარიზის მიერ, დაამტკიცა რა თავისი სიძლიერე ქვეყნის აღორძინებით. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების შესანარჩუნებლად არ არის საჭირო კომუნისტური რევოლუცია საზღვარგარეთ. რუსეთს შეუძლია თავისი თავის პატრონობა—საბჭოთა მთავრობის სიმტკიცე არ არის დამოკიდებული საერთაშორისო რევოლუციაზე. მოხდა გარდატეხა ურთიერთობაში საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.

საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა საშუალებას უსპობს ყველა სხვა ქვეყნებს უარი სთქვან საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას აღდგენაზე. რუსეთის მომავალი აღორძინება აუცილებელია.

მსოფლიოს არ შეუძლია არ იცნოს ფაქტები ისე, როგორც ისინი არსებობენ და როგორადაც [illegible] მათ რუსეთი".

საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენცია

პარიზი. 29 ოქტ. „მატენის" გადმოცემით საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენცია აუცილებლად შესდგება მომავალ იანვარში. მხოლოდ მის შემდეგ, რაც მიღწეული იქნება სრული თანხმობა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, საფრანგეთის მოქალაქეებს მიეცემათ ნება იღონ კონცესიები საბჭოთა კავშირში. ეს კონცესიები აიღება მთავრობის სასტიკ კონტროლის ქვეშ, რადგან მისი განზრახვაა ამ კონცესიების საექსპლოატაციო შემოსავლის ნაწილი აუცილებლათ მოხმარდეს მეფის ვალების განაღდებას.

საფრანგეთის კომპარტიის მილოცვა

პარიზი. 29 ოქტ. საფრანგეთის კომპარტიის აღმასკომმა გამოუგზავნა რუსეთის მუშებს და გლეხებს შემდეგი მიმართვა:

„იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ იცნო საბჭოთა კავშირი, საფრანგეთის პროლეტარები და კომუნისტები ულოცავენ რუს ძმებს ამ გამარჯვებას. მათ ესმით, რომ კაპიტალისტების ეს უკანდახევა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ ხელი აიღეს ბრძოლაზე რევოლუციის წინააღმდეგ. უფრო მეტი სიმტკიცით, ვიდრე ოდესმე, საფრანგეთის კომუნისტები წავლენ იმ გზით, რომელიც უჩვენა მათ ძლევამოსილმა ბოლშევიზმმა".

საელჩოს შენობის საკითხი

პარიზი. 29 ოქტ. გაზეთი „პტი პარიზიენ" აქვეყნებს ინტერვიუს სენატორ დე-მონზისთან, რომელიც გამოსთქვამს სიხარულს მისი კომისიის მიერ მიღწეულ შედეგების გამო. დე-მონზი აცხადებს, რომ ვალდებულებანი და ხელშეკრულებანი, რომელზედაც ლაპარაკია ერიოს ნოტაში, ეხებიან პოლონეთს და ძველი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ ქვეყნებს და აგრეთვე ბესარაბიას.

დე-მონზის აზრით, ვალდებულებანი საბჭოთა კავშირში ნაციონალიზაციაქმნილ ქონების ნამდვილ მეპატრონეთა მიმართ წარმოადგენს მოვალეობას ვალების საკითხში. საკითხი ეხება არა იმას, რომ საბჭოთა კავშირმა იცნოს ვალები, არამედ იმას, რათა გამონახული იქნეს ამ ვალების გადახდის საშუალებები.

ბიზერტაში მყოფი რუსეთის სამხედრო გემი და საელჩოს შენობა დაუბრუნდება საბჭოთა კავშირს.

ცნობას თავისთავად არ მოჰყვება დაუყონებლივ რაიმე შედეგები, მაგრამ ამით განმტკიცდება ისეთი მდგომარეობა, რომელიც შესაძლებლათ გახდის ეკონომიურ ურთიერთობის განახლებას.

საფრანგეთის მუშების ხმა

პარიზი. 29 ოქტ. შრომის უნიტარული კონფედერაციის მდივანი სემარი „ლ'იუმანიტე"-ში სწერს:

„საფრანგეთის პროლეტარიატმა უკვე დიდი ხანია იცნო საბჭოთა კავშირი. საფრანგეთის პროლეტარიატის სურვილის პირველი გამომხატველები იყვნენ შავი ზღვის სახელოვანი მეზღვაურები მარტის მეთაურობით. მხოლოდ მშრომელთა ძლიერი ზეგავლენით შეიტანეს მემარცხენე ბლოკის პოლიტიკანებმა თავის პროგრამაში პროლეტარიატის ეს სურვილი. საფრანგეთის პროლეტარიატმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალ-ყური მთავრობის და მემარცხენე პოლიტიკანების მოქმედებას და ყოველივე საშუალებით დაიცვან საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი თავდასხმისაგან.

ჩვენ ვიცით, რომ ომი ნავთის ხელში ჩასაგდებად გაგრძელდება ცნობის შემდეგაც ისე, როგორც მანამდე. მილიონიანი სესხები, რომლებიც კვლავ ეძლევა მცირე ანტანტას და განსაკუთრებით პოლონეთს, გამოყენებული იქნება როგორც დღემდე შეიარაღებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ამხ. კაშენის წერილი

პარიზი. 29 ოქტ. კაშენი თავის წერილში, რომელიც მოთავსებულია „ლ'იუმანიტე"-ში, იგონებს საფრანგეთის წინანდელ ბრძოლას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ და სწერს:

„ფაქტი, რომელსაც ჩვენ ვუცდიდით ექვსი წლის განმავლობაში, ბოლოს მოხდა. კომუნისტებს არ სურთ დაფარონ თავიანთი კმაყოფილება, მაგრამ ამავე დროს ისინი არ ეძლევიან არავითარ ილუზიებს მომავლის შესახებ.

საერთაშორისო ბურჟუაზია არ შერიგებია მუშათა რევოლუციას. რახან შეუძლებელი გახდა რევოლუციის დამარცხება შეიარაღებული ძალით, ბურჟუაზია შეეცდება დაახრჩოს ის სხვა საშუალებებით. საფრანგეთის პროლეტარიატის სიფხიზლე არ უნდა შესუსტდეს არც ერთი წუთით".

პრესის აზრი

პარიზი. 29 ოქტომბ. გაზეთი „პარი სუარ" აღნიშნავს, რომ ალბად ამერიკა წაბაძავს საფრანგეთის მაგალითს. მაგრამ ამერიკის მთავრობა გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტის არჩევნის შემდეგ.

„ტანი" აქებს საფრანგეთის ნოტის გარკვეულობას და აღნიშნავს: საფრანგეთის უფლებების დაცვის ერთად-ერთ საშუალებად ითვლება—საბჭოთა კავშირის შებორკვა ვალდებულებებით, რომელსაც ის თავის ნებით იკისრებს და რომლის შესრულებით ის იქნება დაინტერესებული. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ცნობას მოჰყვება მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები იმ მხრივაც, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შორის არსებული ურთიერთობა თვალსაჩინოთ შეიცვლება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განახლების გამო.

პარიზი. 29 ოქტომ. საბჭოთა მთავრობის პასუხი საფრანგეთის ნოტაზე ცნობის შესახებ მიღებული იყო პარიზში 28 ოქტომბერს ღამით.

მცირეოდენი გამოკლებით, საფრანგეთის ყველა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წრეები ერთსულოვნად ესალმებიან ცნობას, როგორც აუცილებელ ნაბიჯს, რომელსაც ექნება უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირისადმი შეურიგებელ მტრულ პოზიციაზე დგანან მხოლოდ ერთეული ბლოკის ორგანოები, „ეკო დე პარი", „აქსიონ ფრანსეზ" „ფიგარო", „ეკლერი" და „ჟურნალი დე დება".

მეორეს მხრივ მემარცხენე ბლოკის გაზეთები ესალმებიან საბჭოთა კავშირის ცნობას.

„ერ ნუველი" იგონებს რუსეთის მიერ გაღებულ მსხვერპლს, რომელმაც უზრუნველჰყო გამარჯვება მარნასა და ვერდენთან. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს ეკუთვნის კონტროლი აზიის გზებზე და აღნიშნავს, რომ ფართო გამოხმაურება, რომელიც მოჰყვა საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას, ამტკიცებს, რომ ერიოი მოქმედებდა საფრანგეთის მორალურ და მატერიალურ ინტერესების მიხედვით.

პარიზი. 29 ოქტ. საბჭოთა მთავრობის პასუხს „მატენი" სთვლის გაურკვეველათ, მაგრამ ოფიციალობის მხრივ კი—ზრდილობიანად. ზოგიერთი სხვა გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა ნოტის მეგობრულ კილოს. „მატენი" ფიქრობს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენცია გაიხსნება პარიზში მხოლოდ მომავალ იანვრისათვის, რადგან მანამდისინ საჭიროა შემზადდენ საბუთები ფინანსიური საკითხების შესახებ.

გაზ. „ევრი" ირწმუნება, რომ საფრანგეთს სურს, რომ ჩიჩერინმა თვითონ მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში.

„ჟურნალ ინდუსტრიელი" სთვლის ცნობას უდიდეს მოვლენათ; თან აღნიშნავს, რომ ამ ფაქტს უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა, თუ ეს მოხდებოდა ისეთი ზომიერი მთავრობის მიერ, რომელსაც არავითარი შიში არა აქვს კომუნისტებისა.

„ჟურნალის" სიტყვით, საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის [illegible] უეჭველათ გამოიწვევს ასეთივე ცნობას სამხრეთ-სლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მიერ.

ქონების საკითხი

პარიზი 29 ოქტ. ჰავასის სააგენტო იუწყება: „რუსეთში რევოლუციურ მოძრაობის გამო რუსეთის ზოგიერთთა ქონება, უფლებანი და ინტერესები საფრანგეთში, რომლებიც უპატრონოდ დარჩენ, გადაეცა მოსავლელათ საგანგებო უწყებათაშორისო კომისიას. ეს კომისია ამ დღეებში უკვე გაუქმდა. აღნიშნული ქონება, უფლებანი და ინტერესები ყველა აღბეჭდილია მათ დასაცავად და შესანახად".

ცნობის გამოძახილი

ამხ. მუტონის განცხადება

მოსკოვი. 30 ოქტ. კომინტერნის აღმასკომის წევრმა მუტონმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგნაირად შეაფასა საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა:

„ცნობა მოასწავებს საბჭოთა კავშირის გავლენის და საერთაშორისო ძლიერების ზრდას. კერძოთ, საფრანგეთის მუშები ამ ცნობით დარწმუნდებიან, რომ საფრანგეთის კაპიტალისტებს ესაჭიროებათ საბჭოთა კავშირი. მაგრამ არ უნდა გაგვიტაცოს ოცნებამ, თითქო ცნობას მოჰყვება ნორმალურ ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის. ეჭვს გარეშეა, რომ ნულლანსი, რომელიც დე-მონზის კომისიაში იმყოფება, უდიდეს გავლენას მოახდენს იმ მხრივ, რომ საბჭოთა კავშირს მოლაპარაკების დაწყებამდე მოსთხოვონ ვალების გადახდა. ჩვენ კი ფრანგი კომუნისტები ვამბობთ, რომ საბჭოთა კავშირმა კი არ უნდა გადაუხადოს ვალები საფრანგეთის კაპიტალისტებს, არამედ, პირიქით საფრანგეთმა უნდა აუნაზღაუროს საბჭოთა კავშირს ის უდიდესი მსხვერპლი და ზარალი, რომელიც საბჭოთა კავშირს მიაყენა ინტერვენციამ, რომელსაც ასულდგმულებდენ და დახმარებას უწევდენ საფრანგეთის იმპერიალისტები. საბჭოთა კავშირის ცნობა დაანახვებს საფრანგეთის მუშათა კლასს პროლეტარიატის ძალას, რომელმაც დაამარცხა თავისი ბურჟუაზია და შეუდგა თავის სახელმწიფოს მშენებლობას. ეს ცნობა შთაუნერგავს საფრანგეთის მუშებს იმედს, რომ ბურჟუაზია საფრანგეთშიაც დამარცხებული იქნება.

ამხ. კოლაროვის განცხადება

მოსკოვი. 30 ოქტ. კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრმა კოლაროვმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ განაცხადა, რომ ის უფრო მეტ მნიშვნელობას აკუთვნებს ამ ცნობას, ვიდრე ცნობას ინგლისის მიერ.

„საფრანგეთსო, სთქვა კოლაროვმა, —უფრო მეტი ფინანსიური ინტერესები ამოძრავებს, ვიდრე ინგლისს და ამიტომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად, შეიძლება, საჭირო იქნეს უფრო მეტი მსხვერპლი, ვიდრე ინგლისის მიმართ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ საფრანგეთის კაპიტალისტების წრეებში განმტკიცდა ის რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი არ წავა ისეთ დათმობაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს. თუ რომელ მხარესათვის უფრო ხელსაყრელი იქნება შეთანხმება, ეს დამოკიდებულია იმ ძალთა განყოფილებაზე, რომელიც შეიქმნება შეთანხმების მომენტში.

საბჭოთა კავშირს, და ინგლისს შორის შეთანხმების ჩაშლის შესაძლებლობა არ გააუარესებს კავშირის მდგომარეობას.

საბჭოთა კავშირი შესძლებს სახალხო მეურნეობის აღდგენას უცხოეთის კაპიტალის გარეშეც. ამიტომ საფრანგეთთან შეთანხმების დროს მნიშვნელოვან დათმობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საგანგებო მოხსენება

ვარშავა. 29 ოქტ. პარიზიდან დაბრუნდა პოლონეთის ელჩი ხლოპოვსკი. იგი საგანგებოთ არის გამოწვეული, რომ გააკეთოს მოხსენება საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

დიპლომატების აზრი

ერბეტი ცნობის შესახებ

ბერლინი 29 ოქტ. ერბეტი, რომელიც საერთო აზრით უეჭველად დანიშნული იქნება საფრანგეთის ელჩად მოსკოვში, სიამოვნებით ესალმება საბჭოთა კავშირის ცნობას.

დემონზის მსგავსად, იგიც აუცილებლათ სცნობს სხვადასხვა სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად გამოიძებნოს პრაქტიკული საშუალებანი ორივე მხარის სასარგებლოდ, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ერბეტი საბჭოთა კავშირის მისწრაფებას, რომ გამოიძებნოს რეალური გარანტიები მსოფლიო მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ერბეტი იმ აზრისაა რომ საბჭოთა კავშირის დაუხმარებლათ გერმანიის ერთა ლიგაში მიღება ყოვლად შეუძლებელია. ერბეტი ამბობს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა დამოკიდებულების განახლებით ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებენ სანაპირო სახელმწიფოებიო".

საარჩევნო კამპანია ინგლისში

კონსერვატორების გამარჯვება

ლონდონი. 30 ოქტ. დილის ხუთი საათისათვის არჩევნების შედეგი ასეთია: არჩეულია 141 კონსერვატორი, 78 მუშათა პარტიის კანდიდატი, 22 ლიბერალი, 2 დამოუკიდებელი და ერთი კომუნისტი. კონსერვატორებმა მოიგეს 56 ადგილი.

თვით კონსერვატორებსაც კი არ სჯერათ

ლონდონი 30 ოქტ. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თვით კონსერვატორები არ მოელოდნენ ასეთ გამარჯვებას. აღსანიშნავია, რომ სამრეწველო ოლქებში კონსერვატორების ხმამ ძლიერ იმატა.

ასკვიტის დამარცხება

ლონდონი. 30 ოქტ. ასკვიტი დამარცხდა პეისლის ოლქში, სადაც გავიდა მუშათა პარტიის კანდიდატი, ამნაირად ასკვიტი იძულებული ხდება დასტოვოს ლიბერალების ბელადის პოსტი. ბელადათ არჩეული იქნება ლოიდ-ჯორჯი.

ახალი დეპუტატები.

ლონდონი. 30 ოქტ. დეპუტატად არჩეულია ცნობილი პაციფისტი მორელი, მინისტრები კლაინსი, ჰენდერსონი, ტრეველიანი, პონსონბი, ტომასი და რობერტო.

არჩეული არიან კონსერვატორების უოფილი მინისტრები ჩემბერლენი და დუგლას ხოგი. კომუნისტების რვა კანდიდატებიდან არჩეულია ინდუსი საკლატვალა, რომელმაც ოკრების ოლქში დაამარცხა ლიბერალების კანდიდატი ბატერსი.

ლონდონი. 29 ოქტ. 29 ოქტომბერს ინგლისისა, შოტლანდიისა და უელსის ყველა ოლქებში უკვე დაიწყო არჩევნები.

ხმების მიცემა დამთავრდება საღამოს 9 საათზე.

ოლქების უმეტეს ნაწილის საარჩევნო შედეგები გამოცხადდება ამავე ღამეს, დახარჩენ ოლქების შედეგები კი მეორე დღეს.

მუშათა პარტიის გამარჯვების შესაძლებლობა შემცირდა პატარა ქალაქებში და სასოფლო-სამეურნეო ოლქებში. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მუშათა პარტიის პარლამენტარული ფრაქცია შესამჩნევად გაიზრდება ამ არჩევნების შემდეგ. აბსოლიუტურ უმრავლესობას მუშათა პარტია არას გზით არ მიიღებს.

ყველაზე უფრო შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ხელისუფლების სათავეში ჩაუდგება კონსერვატიული მთავრობა.

ლონდონი. 29 ოქტ. არჩევნებში ყველგან მონაწილეობას იღებს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა. ქალები ეხლანდელ არჩევნებში უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ვიდრე რომელიმე სხვა წინანდელ არჩევნებში.

ხელახლა არჩეული არიან მინისტრები: ჰენდერსონი, უელში და კლინსი. მარგარეტ ბონფილდი (შრომის მინისტრის ამხანაგი) არჩეული არ არის.

იმ ხმების რაოდენობა, რომელსაც კონსერვატორებს აძლევენ, ძლიერ გაიზარდა წარსულ არჩევნებთან შედარებით.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, 30 ოქტომბრის დილისათვის არჩეული არიან: კონსერვატორები—77, მუშათა პარტიის კანდიდატები—38, ლიბერალები—14 და უპარტიოები—2. კონსერვატორებმა მოიგეს 29 ადგილი, დაკარგეს—ერთი; მუშათა პარტიამ მოიგო—4, დაკარგა—14; ლიბერალებმა მოიგეს—4, დაკარგეს 21 ადგილი.

ყალბი დოკუმენტის გარშემო

ამერიკული პრესა დაიბნა.

ნიუ-იორკი. 29 ოქტ. ყალბი წერილის გამოქვეყნებით გამოწვეულმა ინციდენტმა ცოტაოდენი აბნევა შეიტანა ამერიკის პრესაში. ეს იმის მიზეზია, რომ ლონდონის კორესპონდენტები ყველა ერთხმად აღიარებენ ამჟამათ, რომ მაკდონალდის პირველი განცხადება—თითქოს დოკუმენტი ნამდვილიაო—სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

გამოძახილი ინგლისში.

ლონდონი. 29 ოქტ. ეგრედწოდებული „ზინოვიევის საქმე", ისევ აღელვებს პრესასა და საზოგადოებრივ აზრს.

ამჟამათ უკვე გამოირკვა, რომ ამ ინციდენტმა სრულიადაც არ შეასუსტა მუშათა პარტიის მიმდევართა სიმპატია საბჭოთა კავშირისადმი არც თუ შეამცირა მათი აღშფოთება კაპიტალისტების წინააღმდეგ. მხოლოდ შეარყია მათი რწმენა მაკდონალდისადმი.

ეს აღნიშნა თვით მაკ-მანუსმაც, რომელიც გუშინ საღამოს გამოვიდა მანჩესტერში მრავალ კრებებზე.

„ზნეობრივი განიარაღება"

ვარშავა. 29 ოქტ. სეიმის სხდომაზე პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკრჟინსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. შეეხო რა დამოკიდებულებას გერმანიასთან, მან განაცხადა:

„დოუესის გეგმის მიღება გერმანიის მიერ ამტკიცებს იმას, რომ მას სურს დაადგეს სწორ გზას, მაგრამ ასეთ შთაბეჭდილებას გერმანია ასუსტებს თავის დამოკიდებულებით ერთა ლიგისადმი. ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა უნდა მოხდეს ჩვეულებრივი წესით".

შეეხო რა რუსეთის საკითხს, სკრჟინსკიმ განაცხადა:

„გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა თავის უკანასკნელ მოხსენებაში სთქვა, რომ მას სწამს, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის გაუმჯობესდება. „მე მინდაო,—სთქვა მან,—ვიწამო აგრეთვე და ჩემის მხრივ ყოველ ძალღონეს ვიხმარ, რათა ეს მოხდეს სწორედ ასე. საბჭოთა კავშირმა უნდა იცოდეს, რომ პოლონეთი არ გადალახავს თავის საზღვრებს, არ შეიჭრება რუსეთის შიგნივ და არავის იარაღად არ გახდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა რიგის ხელშეკრულების საფუძვლებზე და შესაძლებლად მიგვაჩნია ზნეობრივი განიარაღება".

შემდეგ სკრჟინსკიმ აღნიშნა, რომ განზრახულია ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევა ჰელსინგფორსში. სკრჟინსკიმ განაცხადა, რომ დამოკიდებულება ოსმალეთთან სავსებით მოგვარებულია, სტამბოლში სწარმოებს მოლაპარაკება მეგობრულ სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ჩვენ და იაპონია

ტოკიო. 29 ოქტომბერი. კენსეიკაის პარტიის კრებაზე იაპონიის პრემიერმა კატომ იაპონია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ განაცხადა:

„იაპონიას აქვს დიდი პრეტენზიები რუსეთის მიმართ ძველ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ამ პრეტენზიების ლიკვიდაციის საკითხი ჯერ კიდევ არაა მოგვარებული. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს რუსეთთან ურთიერთობის განახლების დაჩქარებას და ამისათვის ასეთი მსხვილი ინტერესების მსხვერპლად შეწირვას. თუ საბჭოთა მთავრობა სავსებით მიიღებს იაპონიის პოზიციას, დღევანდელი მოლაპარაკება ახლო მომავალში დასრულდება გონივრულ პირობების გამომუშავებით".

სეიუხონტოს პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, კოვახარამ, ამ სიტყვის გამო განაცხადა, რომ იაპონიამ თავისი მოთხოვნილებების წყალობით დაჰკარგა რუსეთთან ურთიერთობის განახლების შესაძლებლობა.

იაპონიის ხალხს, კოვახარას სიტყვით, აღარ შეუძლია გადახდოს დიდი ხნით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საკითხის გადაჭრა.

იტალიის შრომის კონფედერაციის კონგრესი

რომი, 29 ოქტომბერი. იტალიის შრომის კონფედერაციის კონგრესის მოწვევისათვის მოსამზადებელი ბრძოლის დროს მოითხოვენ შემდეგს:

1) პროფკავშირებში პროლეტარულ მასების დაბრუნება, კლასობრივი ბრძოლის განახლება მუშათა კრებების და გაფიცვების თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

2) შრომის კონფედერაციის ეხლანდელ ხელმძღვანელების ტაქტიკის სასტიკად დაგმობას და პროფკავშირებში კლასთა ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნას ფაშიზმის წინააღმდეგ, არსებულ რეჟიმის დასამხობად და მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დასამყარებლად.

3) პროფკავშირთა ორგანიზაციის მასიური ხასიათის დაცვას, ბრძოლას ბიუროკრატიზაციის წინააღმდეგ, პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით, ყველა მუშების გაერთიანებას შრომის კონფედერაციაში და საერთაშორისო კონგრესის მოწვევა

საკავშირო ცაკის სესიის დახურვა

მოსკოვი. 30 ოქტ. 29 ოქტომბერს შესდგა საკავშირო ცაკის უკანასკნელი სხდომა. მოხსენების გამო მიღებულია მთელი რიგი რეზოლიუციებისა. სესიის დახურვისას ამხ. კალინინმა სთქვა: „ამ სესიის მუშაობა არ წააგავს სხვა სესიების მუშაობას. ეხლანდელი სესიის მუშაობა—ეს ისტორიული თანხმოვანებაა ორი პალატის მუშაობაში; ეროვნებათა და საკავშირო საბჭოსი. მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების კონსტიტუცია, რომლითაც ორივე პალატას შორის არ არსებობს არავითარი კლასიური განსხვავება—აძლევს საშუალებას ორივე პა[illegible]

რესპუბლიკებს მეორე სესიის შემდეგ აქვთ უკვე საკუთარი ხარჯთ-აღრიცხვა. საკავშირო ცაკის სესიამ პირველად დაამტკიცა საკავშირო ბიუჯეტის ციფრები.

მთელი რიგი კანონებით ჩვენ უკვე ვიწყებთ საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობას. თანაც ამ აღმშენებლობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხები.

ჩვენთვის სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ გარდამავალ ფორმას ერთი განსაზღვრული მიზნისთვის—კომუნიზმისთვის, რომელ[illegible]

[illegible] ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გამოარკვიოს ჩამორჩენილ ერთა სურვილი და შესძლოს ერების დაახლოვება. უსათუოდ ისტორიულ აქტად უნდა ჩაითვალოს სესიის მიერ საბიუჯეტო საკითხების განხილვა. ცხადია, რომ საფინანსო კანონპროექტით ჩვენ შევძელით საკავშირო რესპუბლიკების ინიციატივის ამოძრავება. ჩვენ რეს-

[illegible] გვაცხადოთ, რომ სახელმწიფოებრივი განვითარება საბჭოთა კავშირისა [illegible] წინ მიდის. რასაკვირველია ჩვენი სახელმწიფოს განვითარება და მისი განმტკიცება მოითხოვს უზომო ძალღონეს. ჩვენ არა გვაქვს ისტორიაში ისეთი მაგალითები, რომ სანიმუშოდ აეღო იგინი ჩვენ სახელმწიფოს და ყოველი ნაბიჯი, ყოველი წინსვლა ჩვენ უნდა მოვიპოვოთ საკუთარის გამოცდილებით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

პარტიული ორგანიზაციების შემოწმება ოდესის რაიონში.

ოდესა. 29 ოქტ. პარტიულ ორგანიზაციების შესამოწმებლად გუბერნიაში მუშაობს 15 კომისია. კომისიების წევრთა რიცხვი უდრის 48 კაცს, აქედან 47 მუშაა დიდი პარტიული სტაჟით. არაჩვეულებრივი მტკივნეული მოვლენები ორგანიზაციების მუშაობაში არ არის აღმოჩენილი. გამორიცხულთა რიცხვი შეადგენს 8 პროცენტს.

სატრანსპორტო პროგრამის გაფართოება.

მოსკოვი. 29 ოქტ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს სატრანსპორტო სექციამ 1924—25 საწარმოო წლისათვის გააფართოვა რკინის გზათა საწარმოო პროგრამა 30 პროცენტით შარშანდელთან შედარებით.

რ.კ.პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 30 ოქტ. 29 ოქტომბერს შესდგა რ. კ. პ. მოსკოვის კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც კამენევმა გააკეთა მოხსენება ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ.

პლენუმის ყურადღების ცენტრი იყო გლეხთა საკითხი. სამეურნეო მდგომარეობის და მისი მომავალი პერსპექტივების შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო პლენუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც აღიარებს, რომ სავსებით სწორია ცეკას მიერ აღძრული ხაზი, რადგან ის მიმართულია მრეწველობის გაფართოების, ფასების დაკლების და საგლეხო ბაზრის დაპყრობისაკენ. მიუხედავად მრეწველობის გაფართოებისა, კიდევ შეუძლებელი გახდა საგლეხო ბაზრის სრული დაკმაყოფილება საქონლით. ეს მოწმობს იმას, რომ საგლეხო ბაზარს შეუძლია შთანთქას მრეწველობის მთელი პროდუქცია. ამიტომ წინანდებურად მთელი ძალღონე მიმართული უნდა იქნეს მრეწველობის გაფართოებისაკენ.

მომხსენებელი აღნიშნავს ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარებას.

საერთოდ პლენუმმა ჯამი გაუკეთა შარშანდელ დისკუსიას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფაქტებმა სავსებით გაამართლეს ცეკას მთელი პოლიტიკა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გაუმჯობესდა გლეხობის მდგომარეობა, რაც თავის მხრივ იწვევს გლეხთა მასების აქტივობის გაძლიერებას.

პარტიამ დაწვრილებით უნდა შეისწავლოს გლეხობის შიგნით დაწყებული კლასობრივი დაყოფის პროცესები და უნდა ჩააბას გლეხობა სახელმწიფო აღმშენებლობაში.

შემდეგ კამენევი მოკლეთ შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ცნობით იზრდება და მკვიდრი ხდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა; საბჭოთა კავშირი ცნობილია ევროპის უდიდეს სახელმწიფოების მიერ.

მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის შემადგენლობის დამტკიცება.

ხარკოვი, 30 ოქტ. სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დებულება მოლდავიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომის შესახებ და დაამტკიცა მისი შემადგენლობა. რევკომში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: თავმჯდომარე: სტარი, წევრები—ბადეევი, სტროევი, კრივორუკოვი, ბოჩუშკანუ, ანდრია ივანოვი და ეკატერინე არბორე. რევკომის ყველა წევრები ძველი, გამოცდილი რევოლიუციონერი მოღვაწეები არიან. მოლდავიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დროებით დედა-ქალაქად არჩეულია ტირასპოლი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

თესვის კამპანია.

ბაქო. 29 ოქტ. შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად ბაქოს მაზრაში მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასდო 20.000 მან.

ბაქოს განათება.

ბაქო. 29 ოქტ. ამჟამად ბაქოში და მის რაიონში ითვლება 1.835 მანათობელი ერთეული, სულ 138 000 ათასი სანთლის სიძლიერის, შარშან კი იყო 454 ერთეული 93.000 სანთლის სიძლიერის.

კანალიზაცია.

ბაქო. 29 ოქტ. დღეს დაიწყო მუშაობა ბალახანის გზატკეცილზე მთავარ მაგისტრალის გასაყვანათ 620 საჟ. მანძილზე.

დახმარება ლენინგრადს.

ბაქო. 30 ოქტ. ლენინგრადის დაზარალებულთა სასარგებლოდ ქალაქში მოვიდა შემოწირულება: პროფკავშირებიდან—36.000 მან. სხვადასხვა წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებისაგან—1 ნახ. ათას მანეთამდე. 10 ორგანიზაციამ გადარიცხა ერთი დღის ნამუშევარი.

დახმარება უპატრონო ბავშვებს.

ბაქო. 30 ოქტ. უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოებამ დაამთავრა მუშაობა ამენიკენდში საბავშვო სახლის გასაფართოებლად, მომატებულია 100 საწოლი. გაიხსნა ღამის გასათევი სახლი 120 ბავშვისათვის.

სომხეთი

საშუამავლო ბიურო.

ერევანი. 29 ოქტ. პირველ ნოემბრიდან შრომის ბირჟასთან იხსნება საშუამავლო ბიურო. დეკემბრიდან ბირჟა საბოლოოთ იქნება გაუქმებული.

საზოგადოებრივი სამუშაოები.

ერევანი. 29 ოქტ. სომხეთის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა საზოგადოებრივ სამუშაოების მოსაწყობათ; ამ საქმისათვის გადადებული იქნება 8.000 მანეთი. განზრახულია ჭაობების ამოშრობა და ერევანის და ლენინიკანის გალამაზება.

მეათასე ნომერი

ერევანი. 29 ოქტომბერი. სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „ხორურდაინ აიასტან“-ის (საბჭოთა სომხეთი) მეათასე ნომრის გამოსვლის დღეს მიღებულია მილოცვები კომინტერნის აღმასკომის, მოსკოვის „პრავდის“ რედაქციის და ამიერ-კავკასიის ყველა გაზეთებისაგან.

მუშებსა და გლეხებს შორის ტარდება კამპანია პროლეტარული პრესის მნიშვნელობის განსამარტავად. ამავე დროს სწარმოებს ახალ მუშკორების და გლეხკორების შეკრება. კომკავშირელებმა გამოჰყვეს მათშორის 20 მუშკორი.

„რემედახს“-ის კვირეული.

ერევანი. 29 ოქტ. 1-დან 7 დეკემბრამდე სომხეთში ჩატარებულ იქნება „რემედას“-ის კვირეული.

ბავშვების და მცირეწლოვანების ჯანმრთელობის დაცვა.

ერევანი. 29 ოქტ. გამოქვეყნებულია სახალხო კომისართა დეკრეტი, ბავშვების და მცირეწლოვანების ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

ყოფილ ახალ. მარქსისტთა თათბირი

მეორე სხდომა

გრძელდება კამათი კომკავშირსა და პარტიაში ყოფილ მარქსისტთა მიღების შესახებ.

რამოდენიმე ორატორის სიტყვის შემდეგ კამათი წყდება და სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. მიხა კახიანს, რომელსაც დელეგატები ხანგრძლივი ტაშისცემით ხვდებიან.

ამხ. მ. კახიანის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე

მომხსენებელი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურს და ეკონომიურს სიმტკიცეს ოქტომბრის 7 წლის თავზე და დაასკვნის, რომ დედა-მიწის ზურგზე დღეს არც ერთი მთავრობა ისე მაგრათ არა გრძნობს თავს, როგორც საბჭოთა მთავრობა.

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში.

ეხება რა ინგლისის უკანასკნელ ამბებს მომხსენებელი ამბობს, რომ [illegible] მაკდონალდის კაბინეტის დამარცხების იყო საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება და მასთან კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარების ცდა, რომელსაც მაკდონალდისაგან მოითხოვდა ინგლისის მუშათა კლასი. რაკი ეს გარემოება გახდა მაკდონალდის დამარცხების მიზეზად, მაკდონალდის პარტია იძულებულია ახალ საარჩევნო კამპანიის დროს მისდაუნებურად დაიცვას—საბჭოთა ხელისუფლება. ამავე დროს მას არ უნდა დაჰკარგოს ბურჟუაზიის ნდობა და აქვეყნებს ვითომც ამხ. ზინოვიევის წერილს, სადაც კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი თითქმის აძლევდეს ინგლისის კომპარტიას ინსტრუქციებს სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. მაკდონალდმა იცის, რომ კომპარტია, რომელიც მიჩვეულია ფრთხილ მოქმედებას, ასეთ დიდ საქმეს ვერ დააკისრებდა ინგლისის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ფეხ მოუმაგრებელ კომუნისტურ პარტიას.

მაგრამ რა ხერხსაც არ უნდა მიმართოს მაკდონალდმა, საეჭვოა მაინც იგი დაუბრუნდეს ხელისუფლებას.

უფრო მეტად საეჭვოა ის მოსაზრება, რომ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვა ლიბერალ-კონსერვატორთა ბლოკი. ერთი მხრივ ჩვენთვის ეს არ არის ხელსაყრელი, მაგრამ მეორე მხრივ ბურჟუაზიის ხელისუფლების სათავეში მოქცევა ხელს შეუწყობს ინგლისის მშრომელთა გარევოლიუციონერებას, რომლის ნიშნები უკვე გამოჩნდა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე.

[illegible] თუ არა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება თუ გამარჯვებული გამოვიდა ბურჟუაზიული ბლოკი, რა მთავრობაც არ უნდა იქნეს ინგლისის სათავეში, ხელშეკრულების სავსებით გაუქმება შეუძლებელია, რადგან დღეს თვით ბურჟუაზიისთვის უდაოა ის, რომ მათ დაუხმარებლად საბჭოთა კავშირს შეუძლია გაძლება და სახელმწიფო მეურნეობის აღდგენა.

საფრანგეთის ცნობა.

რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ერრიო, რომელმაც ყოველგვარ წინასწარ პირობის გარეშე იცნო საბჭოთა კავშირი, რაც ყველასათვის იყო მოულოდნელი, ერრიომ იცნო საბჭოთა კავშირი მაშინ, როცა ინგლისში იმარჯვებს ბურჟუაზიული ბლოკი, როცა მაკდონალდი აკეთებს ტრიუკებს, ერრიო საბჭოთა კავშირის ცნობით [illegible] კვანტსა სდებს თავის თანა-მოკავშირე—მაკდონალდს,—ეს არის უდიდესი გამარჯვება საბჭოთა კავშირის.

დარჩა იაპონია თავის ახალგაზრდა კაპიტალიზმით და ამერიკა იუზით. რომელსაც, მგონია, ისეთი საქმე მოუვიდეს, როგორც ერრიოს. ასეთი ერთიმეორის საწინააღმდეგო გამოსვლები ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ანტანტა, როგორც ერთი შეთანხმებული ერთეული, არ არსებობს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის გერმანიის მდგომარეობაზე, ეხება აღმოსავლეთის სამოქალაქო ომს ოსმალეთის დამოკიდებულებას ინგლისთან მოსულის გამო. და დასასრულ მოკლეთ ჩერდება საქართველოს მენშევიკების ავანტიურაზე, აცნობს დელეგატებს ავანტიურის მოწყობის ისტორიას და იმ მიზნებს, რომელსაც ისახავდენ ავანტიურის ორგანიზატორები.

ავანტიურამ გამოაშკარავა ჩვენი მუშაობის სიმტკიცე სოფლად.

ამიერიდან კომპარტიას და საბჭ. პლატფორმაზე მდგომ ყოველ მოქალაქის მართებს მეტი ყურადღება მიაქციოს სოფელს სადაც უნდა გაძლიერებულ იქნეს კულტურულ და ეკონომიური მუშაობა.

ამხ. კახიანის სიტყვას მხურვალე ტაშის ცემით ჰფარავენ.

ამხ. კახიანის შემდეგ გრძელდება კამათი—წევრად მიღების შესახებ.

ამხ. ფარნიევის სიტყვა

ამხ. ფარნიევი დიდ მიღწევად სთვლის იმ გარემოებას, რომ ერთი წლის წინათ 12 ათასმა მენშევიკმა და 5 ათასმა ახ. მარქსისტმა დასტოვა მენშ. პარტია და ამ საშუალებით აცდა იმ ავანტიურას, რომლის მონაწილე აუცილებლად გახდებოდენ ისინი რომ თვით ლიკვიდაცია არ ყოფილიყო. ეხება რა პარტიაში მიღების საკითხს, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია არც კომპარტიისთვის და არც ყოფილ ახ. მარქსისტებისთვის მთელი მასის ერთბაშად მიღება. ერთი წლიწადი აუცილებელი იყო, რომ [illegible] საბოლოოთ, თუ რამდენად აქტიურია და გულწრფელი ჩვენი ამხანაგების უდიდესი ნაწილი. დღეიდან შეიძლება დაისვას საკითხი პარტიაში აქტივისტების ჩარევის შესახებ.

კამათში მონაწილეობენ ამხ. მეგრელიშვილი, კალანდაძე, ფირცხალავა და სხვები.

დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული დეკლარაცია, სადაც ყოფ. ახალ. მარქ. ახალგაზრდობა ერთხელ კიდევ ადასტურებს არჩეულ გზის სისწორეს.

პარტიული ცხოვრება

[illegible] ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა კორესპონდენტთა კონფერენციისათვის

ახალგაზრდა კორესპონდენტთა მოძრაობა დიდი ხანი არ არის რაც ჩაისახა. იგი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ერთის მხრივ ჩამოყალიბდა და განვითარება იწყო მუშკორთა მოძრაობამ, მათმა წრეებმა და მეორეს მხრივ კი მას შემდეგ, რაც თვით ჩვენს კავშირში საერთო განვითარების, საერთო აქტივობის დონე იწია.

სულ ერთი წელია, რაც ქ. თბილისში ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის გაზეთებთან „სპარტაკთან“ და „იუნოშესკაია პრავდასთან“ არსებობს ეს წრეები. პირველ ხანებში ჩვენი მუშაობა მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ გაგვეღვივებია ახკორთა მოძრაობა და ჩამოგვეყალიბებია მისი პირველი ჩანასახები, მაგრამ ეს პატარა მოვლენა, რომელსაც აქ, ცენტრში, ჰქონდა ადგილი, გაფართოვდა და მასიური გახდა.

თვით თბილისის ყველა რაიონებში გამოძახილი ჰპოვა ჩვენმა მოძრაობამ და შეიქმნა წრეები, მაზრებშიაც თანდათან ამ უკანასკნელ ხანებში ფეხს იკიდებს ახკორთა მოძრაობა; სდგება ახკორთა წრეები, რომლებშიაც თავს იყრიან ყველა კომკავშირელი ბეჭდვითი სიტყვის დარგში მომუშავენი.

ეს წრეები მაზრებში აერთიანებენ როგორც ცენტრალურ გაზეთების („სპარტაკის“ და „იუნოშესკაია პრავდას“) კორესპონდენტებს, ისე ადგილობრივი ფურცლების და კედლის გაზეთის ახკორებს.

რა სამუშაოს ასრულებენ ჩვენი ახკორთა წრეები?

ისინი მიმართულებას აძლევენ გაზეთს, იმუშავებენ მის შინაარს, რასაც ძლიერ დადებითი შედეგი მოაქვს. ახკორები, როგორც ვიცით, ამოსული არიან თვით მასსიდან და მათ მიერ გაზეთის მიმართულების ხელში აღება—ეს იმავე დროს ნიშავს გაზეთის მჭიდრო შეკავშირებას კავშირის მასსასთან.

ახკორები წარმოადგენენ ჩვენი გაზეთების გამავრცელებელ ძალასაც. კოლლექტიური და ინდივიდუალური ხელისმოწერის ჩატარებას ხელმძღვანელობს ამა თუ იმ უჯრედში გაზეთის ახკორი.

დასასრულს—ისინი თავის წრეებში იწვრთნებიან, სწავლობენ და ემზადებიან, რომ გახდენ საბჭოთა ჟურნალისტები.

მიუხედავათ ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ახკორთა წრეების გაერთიანება სრულიად საქართველოს მასშტაბში ჯერ კიდევ არ მომხდარა.

სწორედ ამ მიზნით ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის მიერ ნოემბრის შუა რიცხვებისათვის მოწვეულია ახკორთა სრულიად საქართველოს პირველი კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში საყურადღებო საკითხები სდგას. მათ შორის მნიშვნელოვანია: ახალგაზრდათა პრესის და ახალგ. კორესპონდენტის ამოცანები. ამ საკითხზე საჭიროა ვრცელი შეხედულების გამომუშავება, რისთვისაც უნდა ემზადოს თვითეული ახკორი.

კონფერენციის ნაყოფიერი ჩატარებისათვის შესრულებული უნდა იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ წინასწარი მუშაობა. ამისათვის საჭიროა წინასწარ შემდეგ ღონისძიებათა გატარება: 1. კავშირის მასსაში, უჯრედებში და პროფკავშირებში ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული ახალგ. კორესპ. მოძრაობის მნიშვნელობა და კერძოთ იმ კონფერენციის ამოცანები, რომელიც მოწვეულ იქნება ნოემბრის შუა რიცხვებში.

2. ზოგიერთ ადგილებში ეხლა ჰკიდებენ ხელმძღვანელი ორგანოები ხელს ამ წრეების ჩამოყალიბებას; კონფერენციამდე მათი ჩამოყალიბების პროცესი უნდა დავასრულოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ასეთი წინასწარი ღონისძიებანი აუცილებელია კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ვ. ძ.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

„თემქის“ ბავშვთა კოლექტივის საზეიმო სხდომა

15 ოქტომბერს „თემქის“ კლუბში შესდგა გაერთიანებული საზეიმო სხდომა „თემქის“ კოლექტივის პიონერებისა კომ-კავშირთან და მუშებთან ერთად. დარბაზი სავსე იყო პიონერებით და მათი მშობლებით.

კრებას ხსნის კომკავშირის უჯრედის მდივანი საკოევი და აცხადებს დღის წესრიგს: მოხსენება რაიონის ინსტრუქტორისა ამხ. სირმაილის ბავშვთა ორგანიზაციის შესახებ, ბავშვთა კოლექტივიდან აქტივისტების გადაყვანა კომკავშირში და თემქის კომკავშირის უჯრედის მიერ დროშის გადაცემა ბავშვთა კოლექტივისათვის.

დარბაზში სუფევდა აუწერელი სიხარული, უკრავდა მუსიკა. პიონერები ამშვენებდნენ მთელს კრებას თავიანთი წითელი ბანტებით. მღეროდენ სხვადასხვა საპიონერო სიმღერებს.

კომკავშირში გადაყვანილი იქნენ 3 ამხ. კოლექტივიდან: კაზაროვა თამარ, უპადიშვილი და ჩოდრიშვილი. ამ ამხანაგებს მისალმა—გ. ჩოდრიშვილი, რაიონის ინსტრუქტორი—სირმაილი და უჯრედის მდივანი საკოევი, რომელმაც გადასცა სამივეს თითო-თითო წიგნაკი, კომკავშირის პროგრამა და წესდება. ყოველი მისასალმებელ სიტყვაზე უკრავდა მუსიკა ინტერნაციონალს.

შემდეგ კომკავშირის სახელით გიორგი ჩოდრიშვილი აბარებს წითელ დროშას კოლექტივის აღმასკომის თავმჯდომარეს, პატარა პავლიკა ჩოდრიშვილს შემდეგი სიტყვებით: „ეს წითელი დროშა, რომელსაც მე თქვენ გაბარებთ კომკავშირის სახელით, უნდა დაიჭიროთ მტკიცედ ხელში და მიიტანოთ ის დანიშნულ ადგილამდე. თქვენ ხართ ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედები, იმედები კომუნისტური პარტიისა. თქვენ პირნათლად უნდა შეასრულოთ ილიჩის ანდერძი; იყავით მზად“, რის შემდეგ აძლევს წითელ დროშას და ჰკოცნის შუბლზედ. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. კოლექტივს მისალმნენ აგრეთვე ქარხნის მუშების სახელით ამხ. [illegible]აშვილი, მბეჭდავთა კოლექტივიდან, სახელმწიფო ინსტიტუტიდან და რაიკომიდან ამხანაგი აბახაძე.

მისალმებების შემდეგ პიონერებმა დადგეს ორ მოქმედებიანი პიესა თავიანთ მიერ გამოგონილი. პიესის შემდეგ გაიმართა სიმღერები. საღამო ჩატარდა მხიარულად. პიონერები აღფრთოვანებული იყვნენ ზეიმით.

ვ. მეუნარგია.

კომუჯრედები!

[illegible] კომიტეტთა მდივნების გა[illegible] თათბირის [illegible] ფრიად სერ[illegible] უჯრედების [illegible] ხა, რომელ[illegible] გაზეთ „კო[illegible] ბერ ჩვენი [illegible] კომიტეტის [illegible] ძლიერდა[illegible] ციებს გამ[illegible] აქის შესახებ[illegible] ლობრივი ორ[illegible] ნილ დასკვნების [illegible] ატაროს ის ცხოვ[illegible]

დებულების შესახ[illegible] გამოვიდა ამხ. მ[illegible] მაკ [illegible] დაახასიათა [illegible] ბულების მუხლები და ვრცლ[illegible] მარტება მისცა მათ.

რომ ეს საკითხი სერიოზ[illegible] მომწიფებულია სჩანდა იმ [illegible] კამათიდან, რომელიც გაიმ[illegible] ბულების განმარტების შემ[illegible]

კამათში მონაწილეობა თითქმის ყველა ამხანაგებმა [illegible] ლემაც დაახასიათეს პრო[illegible] დებითად

კამათის დროს წამოიჭრა ხაზი პარტიული ეთიკის და დისციპლინის [illegible]. ამხა[illegible] მიუთითეს, რომ საჭიროა ამ ს[illegible] ხებზე ვრცელი დებულების გა[illegible] მაკეთა, რადგან [illegible] სახებ ცოტა ნათქვამი.

თათბირმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა მოხსენება პარ[illegible] უჯრედების მომავალი მუშაობის [illegible] წყობის შესახებ იმ პროექტის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული [illegible] გაზეთ „კომუნისტის“ 8 ოქტომბ[illegible] №-ში, ფოთის პარტკომის, კომ[illegible] [illegible] ამხანაგების გაერთიანებ[illegible] თათბირი, მიმდინარე და მომავა[illegible] პარტიული მუშაობის გაცხოველ[illegible] მიზნით სცნობს საჭიროდ და მიზ[illegible] შეწონილად პროექტის დამტკიცებ[illegible] თათბირი იწონებს პროექტის დებ[illegible] ლებებს კომუჯრედების მუშაობის [illegible] მნიშვნელობის შესახებ და თავის [illegible] მხრით სცნობს საჭიროდ:

1) [illegible] პარტ. დისციპლინის და პარტიულ[illegible] ეთი[illegible] საკითხის მნიშვნელობა [illegible] იმას, რომ ამ საკითხებს ფართო [illegible] გლი ექცია და საგრძნობი ყურადღება ექცეოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე, ფოთის ორგანიზაცია საჭიროდ სთვლის და სთხოვს ცენტრალურ ორგანიზაციებს, რათა ამ პროექტში ცალკე იქნას შემუშავებული მუხ[illegible] პარტიული დისციპლინისა და პარტიული ეთიკის შესახებ.

2) თათბირი ავალებს საორგანიზაციო განყოფილებას გასაგზ[illegible] ხაისები მისცეს კომუჯრედებს [illegible]

3) კომუჯრედებს თავის [illegible] დააყენონ საკითხი უჯრ[illegible] ბის მომავალი წყობის შესახებ [illegible] მიმაგრებულ ამხანაგების ხელმძ[illegible] ნელობით უახლოეს დროში [illegible] სდგილონ.

დღემდე არც ერთ ორგანიზაციას არ გამოუთქვამს თავისი აზრი [illegible] დებულების შესახებ. საჭიროა, რომ სხვა ორგანიზაციებმაც მიიღონ [illegible] საკითხის გარჩევაში აქტიური მონაწილეობა.

3. მ.

მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები

VI. საბჭოთა მოსამსახურეები სოფლათ. ეროვნული საკითხი. ინტელიგენცია.

საარსებო მნიშვნელობა აქვს გლეხობისათვის აგრეთვე საკითხს საძოვრებით და ტყეებით სარგებლობის შესახებ; ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული და საჭიროა, რომ ჩვენ სპეციალურათ ხელი მოვკიდოთ მის გადაწყვეტას.

სოფლათ გარდა გლეხებისა, რომლებიც თავის გლეხურ შრომას ეწევიან, ცუდ მდგომარეობაში არიან აგრეთვე სოფლათ მომუშავე მილიციონერები, სოფლის მასწავლებლები და აგრონომიული და საექიმო პერსონალი.

პირველი—ისინი მეტათ მცირე ჯამაგირებს იღებენ და მეორეც ისა, რომ ამ ჯამაგირებს თავის დროზე ვერ იღებენ მილიციონერს რაიონული სისტემის შემოღების შემდეგ მუშაობა მოემატა, ჯამაგირს კი ის იღებს მხოლოდ 15 მანეთს. საეჭვოა რომ მან ასეთი მცირე ჯამაგირით თავგამოდებით იბრძოლოს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში (მაგალითად) მილიციონერები გმირულათ ებრძოდენ ბანდიტებს.

რაც შეეხება მასწავლებლობას, აქ საქმე ცოტა სხვანაირათ არის. ჩვენი სოფლის ინტელიგენცია, რომლის უმნიშვნელო ნაწილი იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებში, როგორც საერთოდ ინტელიგენციის დიდი ნაწილიც ქალაქებში, სოფლადაც ნაციონალისტურათ არის განწყობილი, ის აქტიურათ მხარს არ უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველ შემთხვევაში არ წარმოადგენს საბჭოთა ელემენტს. ეს არ უნდა დავივიწყოთ. მაგრამ გარდა ამ ძირითადი მომენტისა, არის, რასაკვირველია, სხვა გარემოებებიც. ჯამაგირები მასწავლებლებს ჩვენ მოუმატეთ, ეს გამოვაცხადეთ, მაგრამ ეს არც ისე ჩქარა განხორციელდა.

და მხოლოდ სექტემბერში მოვახერხეთ ჩვენ დავალიანების მოსპობა და ჯამაგირების გადაგზავნა მასწავლებლებისათვის გადიდებული ცხრილით.

მიმდინარე წლის ბოლოს მოწვეული იქნება საქართველოს მასწავლებლობის ყრილობა, ეხლა სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ამ ყრილობის მოსაწვევათ და უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ სოფლის მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილი, რომ ამით კულტურული დასაყრდენი გვქონდეს სოფლათ.

ესევე ითქმის დაახლოვებით აგრონომებისა და ექიმების შესახებ.

საქართველოში და ამიერ-კავკასიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, ეროვნულ საკითხს. ამ საკითხის სწორათ გადაწყვეტისაგან ბევრი რამ არის დამოკიდებული. და აშკარათ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა პარტიამ ამიერ-კავკასიაში ბრწყინვალეთ გადასჭრა ეს საკითხი. ჩვენ სისწორით შევასრულეთ ამხ. ლენინის ანდერძი, რომელიც მან დაუტოვა ამიერ-კავკასიის კომუნისტებს, ჩვენ აქ შევსძელით სამაგალითო ეროვნული მშვიდობიანობის დამყარება, რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიულ ან სხვა რომელიმე წესწყობილების დროს.

მენშევიკების უკანასკნელი გამოსვლები ამიერ-კავკასიისათვის და, კერძოდ კი, საქართველოსათვის გამოცდა იყო; აქ უნდა დამტკიცებულიყო ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორე ამ საკითხში.

და ჩვენმა პარტიამ ღირსეულად დაიჭირა ეს გამოცდა.

საეჭვოა, რომ ეხლა მოიძებნოს ისეთი ვინმე—და მას ნამდვილ სულელად ჩასთვლიან,—რომელიც გაილაშქრებს იმ გაერთიანების წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ აქ გვაქვს, ე. ი. ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. არა მარტო ჩვენმა მეგობრებმა, არამედ მტრებმაც კი აღიარეს ამ ფედერაციის აუცილებლობა.

პარიტეტული კომიტეტის წევრის მიხ. იმხნელის (ნაციონალ-დემოკრატია) ჩვენებაში არის ერთი მეტად დამახასიათებელი ადგილი.

ის გადმოგვცემს სახჩინეთის მეჯლისის ყოფილი მეთაურის ალი მიტაევის აზრს. იმ მიტაევის, რომელთანაც იმხნელი მოლაპარაკებას აწარმოებდა შეერთებული გამოსვლების შესახებ; ალი მატაევის აზრი შეეხება ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს: „თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ ის, თუ საით მიილტვის ჩრდილოეთ კავკასია, საით არის მიმართული მისი სურვილი; შეიძლება, ზოგიერთები ფიქრობდენ, რომ ჩვენ [illegible] აზერბეიჯანისკენ, მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ გვინდა შევქმნათ მთიელთა თავისუფალი რესპუბლიკა, რომელიც ფედერატიულათ დაკავშირებული იქნება საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკებთან; ყველა ამ რესპუბლიკებს უნდა მეთაურობდეს საქართველო, რადგან ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ყავს ბევრი განათლებული ხალხი, კარგი დიპლომატები და პოლიტიკოსები სათანადო მომზადებით. უნდა შეიქმნეს ამიერ-კავკასიის ერთიანი ფედერატიული რესპუბლიკა, რომელსაც უნდა ჰქონდეს ერთიანი გარეშე საქმეთა, სამხედრო და საფინანსო სამინისტროები.“

აი არც ისე განათლებული კაცის აზრი და ამ შეხედულებას საფუძვლათ უდევს ამიერ-კავკასიის ერთიანი ფედერატიული რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობის აღიარება (მხოლოდ მიტაევს არ სურს და მას „დაავიწყდა“ სომხეთის ჩარიცხვა ამ ფედერაციაში). ასე რომ საკითხი ამიერ კავკასიის ფედერაციის შესახებ ეხლა არ შეუძლია კამათი გამოიწვიოს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ უკანასკნელმა გამოსვლებმა დაგვანახვეს და დაგვიმტკიცეს, რომ ჩვენი ეროვნული პოლიტიკა—ჩვენი სინამდვილის რთულ პირობებში—მაინც სწორათ ტარდება.

ამ გამოსვლებმა დაგვანახვეს, რომ არ ყოფილა არც ერთი ადგილობრივი მცხოვრები არც ჩვენს ავტონომიურ ოლქებში და რესპუბლიკებში (სამხრეთ-ოსეთი, აჭარა, აფხაზეთი) და არც მრავალი ეროვნებებით დასახელებულ მაზრებში (ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები), რომ მას მონაწილეობა მიეღოს ამ გამოსვლებში.

ქართველ კონტრ-რევოლიუციონერებს სხვა ადგილების კონტრ-რევოლიუციონერებიც კი არ მიემხრნენ. ეს ნამდვილი ქართული კონტრ-რევოლიუცია ამხედრდა ქართული რევოლიუციის წინააღმდეგ.

რა ხდებოდა ამ დროს ამ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებში? აჭარაში 1.200 უპარტიო აჭარელი გლეხი იარაღით ხელში იცავდა აჭარის საზღვრებს ოსმალეთის მხრიდან—იმ შემთხვევისათვის, თუ ადგილი ექნებოდა ჩეტნიკების თავდასხმას ოსმალეთიდან.

მაშასადამე, აჭარის ძველი ხელისუფლების შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამხ. ხიმშიაშვილი—საუცხოვო საბჭოთა მუშაკი—სწორი პოლიტიკა აღმოჩნდა.

ასეთივე სურათი იყო აფხაზეთშიც სადაც აფხაზი გლეხები მიდიოდენ ზუგდიდის მაზრის დასახმარებლათ, ასეთივე მდგომარეობა კი სამხრეთ-ოსეთშიც, საიდანაც დამხმარე ძალებს გზავნიდენ გორის და ახალციხის მაზრებში; აქ ათასზე მეტი გლეხები სხვადასხვა ეროვნებებისა იარაღით ხელში იცავდენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამ მხრივ გამოცდა ჩვენ დავიჭირეთ.

და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ამ რესპუბლიკებშიაც სწორ ნაციონალურ პოლიტიკას ვატარებდით.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, შესძლო თუ არა კონტრ-რევოლიუციამ ნაციონალური მომენტის გამოყენება თავისი გამოსვლების დროს და მიაღწია თუ არა მან ამ მხრივ დადებით შედეგებს სოფლათ.

ამაზე ჩვენ უარყოფით უნდა ვუპასუხოთ.

პარიტეტული კომიტეტის წევრები თავის პროკლამაციებში, რომლებსაც თავზე ეხატა წმ. გიორგი თეთრ ცხენზე (ეს ძველი, თეთრი საქართველოს ღერბია) ძირითად ლოზუნგათ აყენებდენ: „გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს“-ო. და იქვე სწერდენ იმას, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს ევროპაო და სხვა. კომუნისტებს ეხმარება რუსეთი, ჩვენ კი ზურგს გვიმაგრებს ევროპა, რომელსაც ვერავინ ვერ გაუძლებსო—სწერდენ ისინი.

ამავე დროს მზადდებოდა დიდი პროვოკაცია და ავრცელებდენ ხმებს იმის შესახებ, რომ თბილისიც, ბათომიც და ფოთიც დაკავებულია, რომ ფოთში გადმოსხმულია ინგლისის დესანტი და ევროპიდან ჩამოვიდა თვით ნოე ჟორდანიაო.

ერთი სიტყვით, პარიტეტული კომიტეტის წევრები ჩვენს ორიენტაციას რუსეთზე და მასთან კავშირზე უპირდაპირებდენ ორიენტაციას ევროპაზე. და ამ საკითხში ისინი საშინლათ დამარცხდენ. გარდა ინტელიგენციისა და, განსაკუთრებით, აზნაურებისა და ოფიცრებისა, მოსახლეობის სხვა ფენებში და გლეხობაში ამ ლოზუნგმა თანაგრძნობა ვერ ჰპოვა. და ეს გასაგებიც არის.

ძველ დროზე რომ არ ვილაპარაკოთ, ჯერ კიდევ მენშევიკების დროს ქართველი გლეხები ზოგიერთ მაზრებში აწყობდენ აჯანყებას (აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მაზრებში და ოლქებში არავითარი გამოსვლები არ ყოფილა: დუშეთის მაზრა, რაჭა, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, აჭარა და ლეჩხუმი წითელ, ჩვენი მომხრე მაზრებათ და ოლქებათ დარჩნ), რომლის მიზანი იყო საბჭოთა რუსეთთან შეერთება. და ეხლა, როდესაც კონტრ-რევოლიუცია გამოვიდა ევროპაზე ორიენტაციით, გლეხობას არ შეეძლო შეეთვისებია ეს ლოზუნგი და გამოხმაურებოდა მას.

მოხდა პირიქით:

როგორც ადგილობრივი ამხანაგები იტყობინებიან, გლეხები ამბობდენ და ამბობენ, რომ ისინი ყოველთვის მომხრე იყვნენ რუსეთთან დაკავშირების და მასთან ერთად ყოფნა სურთ.

და ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ჩვენი მტერიც, რომელიც სიმართლეს ამბობს: ეს არის ბათომის პარიტეტული კომიტეტის წევრი გიზო ანჯაფარიძე, რომელიც თვითონ გამოცხადდა ავანტიურის დროს აჭარის ჩეკაში. ის თავის განცხადებაში სწერს, რომ ორიენტაცია ევროპაზე სასტიკათ დამარცხდაო.

საქართველოს მშრომელმა მასებმა, როგორც ასი წლის წინეთ, ისე ეხლაც არჩიეს კავშირი რუსეთთან. და მართალი იყო ნოე ჟორდანია, როდესაც ფედერალისტ არჩილ ჯორჯაძესთან კამათის დროს ამტკიცებდა, რომ ქართველი მშრომელი მასები რუსეთისაკენ მიილტვიანო.

ეს ბრწყინვალედ დადასტურდა ახლა უკანასკნელი გამოსვლების დროს საქართველოში.

რაც შეეხება ინტელიგენციას, მისი დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით „ეგება“ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ლოზუნგებზე, ვინაიდან, როგორც ჩვენ ზევით აღვნიშნავდით, ის შეურაცყოფილათ გრძნობს თავს საქართველოში რუსეთის წითელი ჯარების ყოფნის გამო.

და მის მთავარ, ასე ვსთქვათ, წინასწარ მოთხოვნილებას (შემდეგ კი ინტელიგენცია მოითხოვს უკვე სხვა ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, „უფლებებს“ და სხვა) წარმოადგენს ამ ჯარების გაყვანა საქართველოდან.

შეგვიძლია ჩვენ ამაზე დავთანხმდეთ?

რასაკვირველია, არა.

ვინც გაცნობილია საქართველოს სინამდვილესთან, მას შეუძლია გადაჭრით თქვას, რომ აქ ინტელიგენციის მიმართ ტარდება სავსებით მოქნილი პოლიტიკა.

შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ საბჭოთა კავშირის არც ერთ კუთხეში არ ტარდებოდა წინათ და არც ახლა ტარდება იმაზე უფრო მოქნილი პოლიტიკა, როგორიც აქ.

და მართლაც, საქართველოს ინტელიგენციას—ყველა ამ პროფესორებს, ექიმებს, იურისტებს და სხვებს, რომლებიც ასე მრავლათ მოიპოვებიან ჩვენში, ყველა მათ არ გადაუტანიათ, არ განუცდიათ ყველაფერი ის, რაც რუსეთში ხდებოდა სამხედრო კომუნიზმის დროს, და არა მარტო იმ ეპოქაში, უკანასკნელ ხანებშიაც კი აძევებდენ პროფესორებს საზღვარგარეთ. აქ კი არავითარ დევნას, შევიწროებას ადგილი არ ჰქონებია. რომ სულაც არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ აქაურ ინტელიგენტებს არ განუცდია ისეთი შიმშილობა, როგორსაც ზოგჯერ ადგილი ჰქონდა რუსეთში.

ამაზე ჩვენ ვერ შემოგვჩივლებენ. ვერ შემოგვჩივლებენ ისინი იმაზეც, რომ ავიწროებენ ქართულ ენას, სდევნიან ქართულ კულტურას.

პირიქით.

არასოდეს,—თვით „დამოუკიდებელი საქართველოს“ ხანაშიც, არ ყოფილა ასე აყვავებული ქართული თეატრი, ქართული ოპერა, ქართული კინო-მრეწველობა, მხატვრობა და სხვ., არასოდეს არ გამოდიოდა ამდენი ლიტერატურა ქართულ ენაზე, როგორც დღეს. ამას არ უარყოფს თვით „დამჟავებული“ ინტელიგენტიც.

მაგრამ ისინი მაინც ჩვენი წინააღმდეგი არიან.

ლიტერატორი ბოჭორიშვილი, რომელიც ლეგალურად ცხოვრობდა და მუშაობდა განათლების კომისარიატში, პარიტეტული კომიტეტის წევრი აღმოჩნდა.

ექიმი იმხნელი, რომელსაც თავისუფალი პრაქტიკა ჰქონდა და თითქმის საბჭოთა სამსახურში იყო—ისიც პარიტეტულ კომიტეტში მუშაობდა.

იტყვიან—ეს წმინდა პარტიული ინტელიგენცია არის — მენშევიკები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვ., არის კიდევ უპარტიო ინტელიგენციის ფართე მასაო.

რასაკვირველია, არის, მაგრამ ისევ იმ ნაციონალური გრძნობის გამო, მისი უმრავლესობა თანაუგრძნობს მენშევიკებს, ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს, ესერებს და არა საბჭოთა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

რატომ ხდება ეს?

გარდა ნაციონალური გრძნობისა არის კიდევ ეკონომიური სარჩული.

ინტელიგენტები საქართველოში იმდენია, რომ მოხელე ელემენტის სახით მას შეეძლო დაეკმაყოფილებია არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერ-კავკასია და შესაძლოა კიდევ ჩრდილოეთ კავკასიაც, მათ უნდათ სამუშაო. საქართველოს მაზრებში და აპარატებში სხედან ქართველები და იქ ნაციონალური მომენტი არ არსებობს.

რჩება თბილისი, სადაც თავმოყრილია, თითქმის საქართველოს მთელი ინტელიგენცია, რომელიც გადმობარგდა აქ, როგორც დედა-ქალაქში სხვა ქალაქებიდან—ქუთაისიდან და სხვა.

და აი, აქ სწარმოებს ბრძოლა ადგილებისათვის ქართველი, სომეხ და რუს ინტელიგენციას შორის.

თბილისში კი ნაციონალური შემადგენლობა ასეთია—და ეს ნაციონალური შეფარდება ასეთივეა თბილისის მუშათა კლასში და თბილისის პარტიულ ორგანიზაციაში—ერთი მესამედი—ქართველები, ერთი მესამედი სომხები და ერთი მესამედი რუსები და სხვა ეროვნებანი.

რა სურთ ქართველ ინტელიგენტებს?

ის, რომ საქართველო იყოს ქართველებისათვის და რა ხან გამოცხადებულია ნაციონალიზაცია, ის უნდა გატარდეს ისე, რომ დაწესებულებებში ადგილების მთელი ასი პროცენტი შევსებული იყოს ქართველებით.

შეგვიძლია ჩვენ ამაზე წასვლა?

რასაკვირველია, არა.

აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ საჭირო არ არის ბრძოლა დიდმპყრობელობასთან. ჩვენ სასტიკად ვებრძოდით და მომავალშიც ასეთ ბრძოლას ვაწარმოებთ რუს დიდმპყრობელებთან და აგრეთვე სომხურ და ქართულ შოვინისტებთან და კაკიჭამიობასთან. ჩვენ [illegible] ცოცხით ვერეკებოდით და მომავალშიც გავრეკთ ზოგიერთ ადგილებში მოკალათებულ შავრაზმელ მოხელეებს, როგორც ეს ვქენით ჩვენ ამ რამდენიმე ხნის წინათ რკინისგზაზე.

მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ სანამ ინტელიგენციის უმრავლესობის მთავარ მოთხოვნილებას კვლავ წარმოადგენს:

1. რუსეთის წითელი ჯარების გაყვანა საქართველოდან.

2. თბილისში სამსახურის ადგილების მთელი ასი პროცენტის შევსება მხოლოდ ქართველებით და გარდა ამისა ის გულმოდგინეთ იცქირება შავი ზღვისაკენ, ალბად უკეთესი „ამინდის“ მოლოდინში და მენშევიკების და —რაც უმთავრესია—უცხოეთის, ევროპის დახმარების მოლოდინში, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძნელი, შეუძლებელიც არის საერთო ენის გამონახვა ინტელიგენციის ამ ნაწილთან.

დეე პატიოსანი, უპარტიო ინტელიგენცია სერიოზულად ჩაუფიქრდეს ამ საკითხს...

ეს უკეთესი იქნება საერთო საქმისათვის—საქართველოს კულტურის აყვავებისათვის

მ. კახიანი

„კომუნისტი"

მიიღეთ ხელისმოწერა ნოემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 10 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში (ბინაზე მიტანით)	პროვინციაში (გაგზავნით)
1 თვით . . 85 კ.	1 თვით . . 95 კ.
წლის ბოლომდი 1 „ 60 „	წლის ბოლომდე 1 „ 80 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს".

ოოპერაცია

თბილისის მუშკოოპის მუშაობა

(1924 წ. 1 იანვარი—1 ოქტომბერი)

საპაიო თანხა.

წევრთა რიცხვის ზრდასთან გაიზარდა საპაიო თანხაც, იანვარში საპაიო თანხა შეადგენდა 13.520 მან. ხოლო 1 ოქტომბერს—24.071 მან.

სავაჭრო პუნქტები.

1924 წ. იანვარს მუშკოოპს ქონდა 24 საერთო მაღაზია და 3 პურის დუქანი. ამჟამად აქვს—27 საერთო მაღაზია, 8 დუქანი მუშათა მსხვილ საწარმოებებში, 35 პურის დუქანი, 8 რძის საქარეველი,—რძის გასაყიდი მოძრავი დუქანი, რომელიც ვაჭრობს დილა-საღამოობით. გარდა ამისა აქვს ქართული პურის საცხობი 33 თორნე და სხვა. ამგვარად მუშკოოპის სავაჭრო პუნქტი თბილისში აღწევს 118-ს. დუქნების რიცხვი გადიდდა არა მარტო რიცხობრივად, არამედ აიწია ღირსებითაც. მრავალი დუქანი გაფართოებული იქნა, მოხდა მათი სპეციალიზაცია.

ცალობითი ვაჭრობა.

9 თვის განმავლობაში 1 იანვ.—1 ოქტომბერამდი, ცალობითი ბრუნვა უდრის 3.257000 მანეთს. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ცალობით ვაჭრობა გადიდებულა 3 ნახ. ჯერ. მყიდველთა 50 პროცენტზე მეტს შეადგენენ კოოპერატივის წევრები.

მუშკოოპის მომხმარებელნი.

მუშა-მომხმარებელთა დაკმაყოფილება ხდებოდა შედარებით გასულ პერიოდთან უფრო სრულად და სავსებით არა მარტო ბრუნვის საერთო გადიდების და მაღაზების ქსელის გაფართოების გამო, არამედ მუშებზე საქონლის ნისიად გაცემის გამო.

მუშებს მიეცათ გრძელი ვადით (4 თვით) საქონელი უმთავრესად მანუფაქტურა 360 ათასი მანეთის. გახშირებულ იქნა აგრეთვე წვრიმალი საქონლის ნისიათ გაცემა—ჯამაგირის მიღებამდე, წარმოებებთან არსებულ განმანაწილებელ დუქნებში. მუშების მიერ მუშკოოპში დახარჯული თანხა გასულ წელს უდრიდა ხელფასის 20 პროცენტს. ა. წ. აგვისტოში ეს რიცხვი ავიდა 48 პროცენტამდე.

მუშკოოპში საქონლის ფასები საშუალოდ იყო 17,5 ნაკლები ბაზრის ფასებთან შედარებით.

პურის ბაზრის დაპყრობა.

პურის ბაზრის დაპყრობა წარმოადგენს ერთს დიდ მიღწევას მუშკოოპის საქმიანობაში.

მუშკოოპი საკუთარ პურის ცხობას მისდევს ამ ორ წლის განმავლობაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუშკოოპი საშუალოდ აცხობდა ყოველდღიურად 1000—1200 ფუთ პურს. ამჟამად მუშკოოპს ყოველდღიურად გამოაქვს ბაზარზე—3.600 ფუთი პური, რაც საერთო პურის ცხობის 60 პროცენტს უდრის.

წითელი სასადილოები.

საზოგადოებრივ კვების ორგანიზაცია მუშკოოპმა დაიწყო მიმდინარე წელს. მუშათა რაიონებში მუშკოოპს აქვს 4 წითელი სასადილო, სადაც სადილობს ყოველდღიურად 1.500 კაცი.

სრულიად საქართველოს იუსტიციის მუშაკთა ყრილობის რეზოლიუციები

ამხ. ბარძიმის მოხსენების გამო საქართველოს იუსტიციის მდგომარეობის შესახებ

რეზოლიუცია გამოსთქვამს კმაყოფილებას იუსტ. სახ. კომისარიატის მიერ მოხდენილ იუსტიციის დაწესებულებათა რეორგანიზაციით (მუშურ ელემენტებით) და ავალებს კომისარიატს სასამართლოს კლასობრივ პოზიციების გამაგრებას, სახალხო სასამართლოთა ქსელის გაფართოებას, [illegible] სახალხო სამართლოთა კომპენსაციის გაფართოებას და სახალხო სასამართლოებში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკის შემოღებას. კომისარიატს ევალება მთელ რიგ ზომების მიღება საბჭოთა სამართლის პოპულარიზაციის იუსტიციის მუშაკთა შორის მეტი ცოდნის გავრცელების, საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებისა და ადმინისტრატიულ სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაციისათვის იუსტიციის სახ. კომისარიატის ხელში.

ამხ. კარტოზიას მოხსენების გამო სისხლის სამართლის პროცესუალ კოდექსის შესახებ.

რეზოლიუცია საჭიროთ სცნობს კოდექსის იმ მუხლების შეცვლას, რომლებიც ეხებიან წინასწარ გამოძიების წესრიგს. წინასწარ გამოძიების საჭიროების კრიტერიუმათ რეზოლიუციის მიაჩნია საქმის შინაარსი (სიმარტივე ან სირთულე) და არა ამა თუ იმ სასამართლოსადმი საქმის ქვემდებარეობა. რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს მტკიცე მაქსიმალურ ვადის დანიშვნას პროკურატურის მიერ საქმის განხილვისა და სასამართლო პროცესის დანიშვნისათვის.

კოდექსიდან გამორიცხული უნდა იქნეს სრულიად 236 მუხლის შენიშვნა და 318, 370, 371, 372 მუხლები.

პროცესის გამარტივებისა და სხვადასხვა ფუნქციების ურთიერთ მიმართ განსაზღვრისთვის რეზოლიუცია საჭიროდ სცნობს მთელ რიგ მუხლების შეცვლას.

ამხ. ტერ-არუტიუნოვის მოხსენების გამო სასჯელის პოლიტიკისა და კლასობრივ პრინციპის შესახებ.

რეზოლიუცია შეუწყნარებლათ სცნობს სისხლის სამართლის და—კერძოთ—პატიმართა საქმეების გაჭიანურებას, რის გამო მოითხოვს ბოროტ-მოქმედების და სასჯელის შე[illegible]. პატიმართა საქმეებში წინასწარ გამოძიების ვადა განსაზღვრული უნდა იქნეს ორი თვით სახ. სასამართლოებისათვის და სამი თვით—ოლქის სასამართლოებისათვის წინასწარ პატიმრობის პრაქტიკა უნდა განისაზღვროს მშრომელი ელემენტის მიმართ. უკანასკნელ შემთხვევებისათვის საჭიროა აგრეთვე კოლექტიურ პასუხისმგებლობის შემოღება და პირობითი სასჯელის საფუძვლის გაფართოება.

ამხ. ფანიაშვილის მოხსენების გამო საპატიმრო ადგილების შესახებ.

რეზოლიუციაში გათვალისწინებულია პენიტენციარულ (საპატიმრო) სისტემის გაუმჯობესების ზომები: კურსების მოწყობა პენიტენციარულ მუშაკთა კადრის მოსამზადებლათ, გამასწ. სახლების მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, დღიურ შეღავათთა შემოღება გამოსწორებულ პატიმრებისათვის, ინსტიტუტის დაარსება ბოროტმოქმედებათა შესწავლისათვის, კულტ-განმანათ. მუშაობის გაძლიერება საპყრობილეებში, პატრონატის დაარსება საპყრობილედან განთავისუფლებულ პირებისადმი ნივთიერ და მორალურ დახმარების აღმოსაჩენათ და სხვა.

შ. მესხიშვილის მოხსენების გამო დამცველთა კოლეგიების შესახებ

ყრილობას საჭიროთ მიაჩნია იურიდ.-საკონსულტაციო ბიუროების გამრავლება, მომეტებულათ, პროვინციაში და დამცველთა კოლეგიების გაჯანსაღება მთელ რიგ ზომების საშუალებით, კერძოთ, კოლეგიების გაწმენდით მავნე ელემენტებისაგან.

მბეჭდავთა მეოთხე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პოლიგრაფიულ მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

ყრილობა იღებს რეზოლიუციას, სადაც იგი იწონებს პოლიგრაფიულ ტრესტის მოქმედებას და მიზნად ისახავს პოლიგრაფ. მრეწველობისთვის ხელის შეწყობას.

ამავე სხდომაზე ყრილობა იხილავს წარმოდგენილ თეზისებს სატარიფო-ეკონომიურ კულტურულ და საორგანიზაციო დარგში მუშაობისთვის.

საორგანიზაციო დარგში

ყრილობა ადგენს უმთავრესი ყურადღება მიექცეს დაბალი საფეხურის უჯრედებს და მათ მოწყობას, საწევრო ბილეთების დარიგებას და წევრთათვის კავშირის წესდების გაცნობას, წევრებისათვის მუშაობის შესახებ დროზე ანგარიშის წარდგენას, სამაზრო ადგილკომებთან ურთიერთობას, ურთიერთ დამხმარე სალაროს მუშაობის გაძლიერებას და სხვას.

სატარიფო-ეკონომიურ დარგში

ყრილობა ავალებს ახალ ცენტრ. გამგეობას გააძლიეროს მუშაობა ახალი სატარიფო ქსელის შემოსაღებლად, შრომის დასაცავად, მუშათა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად და უფრო გეგმა შეწონილი ბრძოლა აწარმოოს უმუშევრობის წინააღმდეგ. ყრილობა საჭიროდ სცნობს აგრეთვე საწარმოო თათბირების ხშირი გამართვით კავშირის წევრებმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ეკონომიურ მუშაობაში.

კულტურულ დარგში

ყრილობა მთავარ ყურადღებას მიაქცევს წ.-კ. მცირე ცოდნის ლიკვიდაციას, საკლუბო მუშაობას, ფიზკულტურის წრეების დაარსებას, პროფტექნიკურ განათლებას და კულტფონდებისთვის სალარის გამოძებნას

წარმოდგენილი თეზისები მცირე შესწორებით მიღებულ იქნა

ხის დამმუშავებელთა მე-4 ყრილობა

მეორე სხდომა

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ს. დიმიტრაშვილი)

კავშირის ცენტრალური გამგეობა ასრულებდა იმ ამოცანებს, რომელიც დაევალა მე-3 ყრილობიდან.—სახელდობრ—აღვივებდა აქტიობას წევრთა შორის, გადაჰყავდა ისინი ინდივიდუალურ წევრობაზე, ათვალიერებდა ადგილობრივ ორგანიზაციებს, ატარებდა სხვადასხვა კამპანიებს, ქმნიდა ხის მჭრელთა და ცალკე ერთეულთა პროფორგანიზაციებს. ამავე დროს ცენტრ. გამგეობა იმიჯნებოდა სხვა კავშირებიდან (რკინისგზელთა, ქიმიკოსთა და სხვათაგან). ამჟამად კავშირის წევრთა რიცხვი უდრის 1.607 წევრს. ამ რიცხვიდან 75 პროც. ქართველია, სომეხი—15 პროც., რუსი—10 პროც. საწევრო გადასახადს საშუალოდ იხდის 662 წევრი.

უმუშევრები კავშირს ძალიან მცირე ჰყავს. მიუხედავათ ამისა მათი დახმარების საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული.

საურთიერთო დახმარების კასის წევრად ითვლება 242 წევრი. კასას სესხად გაუცია 1594 მანეთი. კავშირის კულტმუშაობა ძალიან მოისტებდა რის მიზეზად ჩაითვლება თვითმოქმედების უქონლობა, კლუბების არ ქონება და პერიფერიების მიერ კულტფონდისათვის ანარიცხების გაუღებლობა.

ნაყოფიერი გამოდგა კულტ. განყოფილების მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. თითქმის სავსებით აღკვეთილია წ.-კ. უცოდინარობა კავშირის წევრთა შორის 35 წლამდე. ახალი წევრები იგზავნებიან სალიკვიდაციო სკოლებში. მუშფაკზე კავშირს გაგზავნილი ჰყავს 10 წევრი, საქარხნო სკოლაში—12, უმაღლეს სასწავლებელში—6.

კავშირი მონაწილეობდა აგრეთვე სამეურნეო მუშაობაში. იმართებოდა საწარმოო თათბირები, რომელზედაც მოხსენებებს აკეთებდნენ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელნი. კავშირის ინიციატივით სატყეო ტრესტი მარელისში აგებს გრეხილი ავეჯის ქარხანას, რომელიც ამ მოკლე ხანში დასრულდება. ქარხანაში იმუშავებს 500-მდე მუშა ხელი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მესამე სხდომა

ამხ. სიდოროვის მოხსენება

ხის დამმუშავებელთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებას კითხულობს კავშირის ცეკას წევრი ამხ. სიდოროვი, რომელიც ყრილობას აცნობს ხის დამმუშავებელთა ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მომხსენებელი ეხება აგრეთვე ტყის მრეწველობას საბჭოთა კავშირში.

სატყეო ტრესტის მუშაობა

სატყეო ტრესტი, რომელიც მოეწყო მთელი ტყის მზრუნველობის საკონცენტრაციოდ და ტყის ექსპლოატაციის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლად, თავის საქმიანობის დროს წააწყდა მეტად ხელის შემშლელ მიზეზს—სახსარის უქონლობას, რამაც გამოიწვია მისი სამუშაო ასპარეზის 1923—24 სამეურნეო წელში სატყეო ტრესტის თანხას შეადგენდა 4078 მანეთი. დამზადებული ხე-ტყის მასალის ღირებულება კი უდრიდა 248.336 მანეთს. ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციებზე ტრესტის ვალი შეადგენდა 151.534 მან. ძირითადი თანხა, რომელშიდაც შედის ქარხნის შენობების 15 სახერხი ქარხნის ქონების ღირებულება უდრის—570,853 მანეთს; წარმოების გასაჩაღებლად სატყეო ტრესტის განკარგულებაში იყო 4 ტყის დასამზადებელი რაიონი, სადაც მოქმედებდა 8 სახერხი ქარხანა, გრეხილი ავეჯის ქარხანა და საწყობი ქუთაისსა და თბილისში. გეგმით სატყეო ტრესტს უნდა დაემზადებია დახერხილი ხე-ტყე—870 ათასი ვერშოკი, მორეში—1 მილიონი ფ. შეშა—10.000 საჟენი, შპალები 100 ათასი ცალი. საბრუნავ თანხის ნაკლებობამ ტრესტის პროდუქცია საგრძნობლად შეამცირა, ტრესტმა ვერ მიიღო ს. მ. უ. ს.-იდან და ბანკიდან საჭირო დახმარება და კრედიტი.

ამ წლის განმავლობაში ტრესტის შემოსავალი უდრის 470.366 მანეთს, ხოლო გასავალი წარმოებაზე—436,63 მან.

აეროპლანი „თბილისელი მუშა"

აეროპლანი „თბილისელი მუშა", რომელიც გადაეცემა ლენინის სახელობის მეორე საჰაერო რაზმს, აგებულია თბილისის პროლეტარიატის მიერ შეგროვებული თანხებით; ეს თანხები შეაგროვა საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებამ ერთი წლის განმავლობაში. თავდაპირველათ განზრახული იყო ამ აეროპლანის კავკასიის წითელდროშოვან არმიის ავიო-რაზმისათვის გადაცემა, მაგრამ მისი მეორე ესკადრილიაში გადაცემა მოისურვა თბილისის პროლეტარიატმა, რომელსაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს ილიჩის სახელობის ესკადრის (საჰაერო რაზმის) შექმნაში.

ეს აეროპლანი აგებული იყო მოსკოვში ქარხანა „დუკს"-ში; ის დაჯდა 32.000 მანეთი. აეროპლანი „თბილისელი მუშა" აგებულია დე-ხევილანდის სისტემის მიხედვით.

საზეიმო გადაცემა მოხდება მოსკოვში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების სრულიად საკავშირო ყრილობის შემდეგ. მოსკოვში უკვე გაემგზავრა თბილისის მუშების დელეგატი ამხ. აზრუმელაშვილი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს აეროპლანის საზეიმო გადაცემაში. დელეგაციაში შედიან აგრეთვე საქართველოს ს. ფ. მ. ს. თავმჯდომარე ამხ. ესსენი, თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დვორიანოვი, აჭარის ს. ფ. მ. ს. თავმჯდომარე ამხ. ჩაჩაბა და სამხრეთ-ოსეთის ს. ფ. მ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯატიევი.

„თბილისელი მუშა" პირველი აეროპლანია მთელს ამიერ-კავკასიაში რომელიც გადაცემული იქნება ლენინის სახელობის ესკადრილიაში.

ა.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ავადმყოფობა.

ასეთი ავადმყოფობა არის ეპიდემიური (გადამდები პლევრიტი, რომელიც გავრცელდა ინგლისის კუნძულებზე ამ ავადმყოფობის ნიშნებია: ტკივილები გულ-მკერდში, თავის ტკივილი, გულის ტკივილი ღრმად სუნთქვის დროს. ზოგიერთ შემთხვევებში ეს ავადმყოფობა პირველი თორმეტი საათის განმავლობაში წააგავს აპენდიციტს (ჭიაყელა ნაწლავის ანთებას), აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეპიდემიური პლევრიტით ავადმყოფდებიან საავადმყოფოებში სათნოების დები ავადმყოფობა, განკურნვის შემდეგ, არავითარ შედეგებს არ სტოვებს.

აცრის ახალი საშუალება.

მეცნიერება დიდი ხანია არკვევს საკითხს შესაძლებელია თუ არა ავადმყოფობის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება აცრის დღევანდელი წესისათვის მიმართვის გარეშე. ეს შესაძლებელია შიგნით აცრით. ასეთ ასაცრელ საშუალებას ეწოდება „ენტეროვაქცინა". ეს საკითხი ნაწილობრივ გადაჭრა ფრანგმა ექიმმა გოტიემ. მან მოამზადა ტიფის საწინააღმდეგო შიგნით ასაცრელი საშუალება.

ათინაში და სალონიკში (საბერძნეთი), სადაც ტიფით ავადმყოფობა მუდმივი მოვლენაა, მცხოვრებთა დიდ ნაწილს მიაღებინეს გოტიეს „ენტეროვაქცინა" და მათ რვა თვის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ ექიმები. ამ ხნის განმავლობაში მათ შორის არ ყოფილა ტიფით ავადმყოფობის არც ერთი შემთხვევა. გოტიემ ისარგებლა „ენტეროვაქცინით" აგრეთვე სამ სოფელში, სადაც მძვინვარებდა ტიფი. ერთ სოფელში ეპიდემიას სრულიად მოუღო ბოლო, მიუხედავათ იმისა, რომ ავადმყოფობის წყარო—ბინძური წყალი დარჩა ორ მეორე სოფელში ადგილი ჰქონდა ტიფოიდის (მსუბუქი ტიფის) მხოლოდ ოთხ შემთხვევას.

ენტეროვაქცინას აძლევდნენ საჭმელის მიღების წინ სამი დღის განმავლობაში პატარა ჭიქა წყალში გარეულს. მოზრდილებს ეძლეოდათ ერთი კუბიკური სანტიმეტრი დღეში. ბავშვებს—2-დან 6 წლამდი—ნახევარი კუბიკური სანტიმეტრი, ორ წელზე ნაკლებს კი ერთი მეოთხედი კუბ. სანტ.

თევზის ზეთის ხმარების შესახებ.

თევზის ზეთს არ ხმარობენ საჭმელად იმიტომ რომ მას ცუდი გემო და სუნი აქვს თევზის ზეთი კი მეტად სასარგებლოა ორგანიზმისათვის

ერთმა ნორვეგიელმა მეცნიერმა გამოიგონა თევზის ზეთის ისე დამზადების საშვალება, რომ მას ცუდი გემო და სუნი ეკარგება.

ის ამისათვის ადუღებს თევზის ზეთს და უმატებს ზოგიერთ ხსნილებს, რომლებიც მან აღმოაჩინა.

ყავის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის.

ბოსტონის (ჩრდილოეთ ამერიკა) ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოიკვლიეს ყავა. მიზნათ ჰქონდათ დასახული გამორკვევა იმისი, თუ რამდენათ სასარგებლოა ან მავნეა ორგანიზმისათვის ყავა. აღმოჩნდა, რომ ყავა დადებით გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე. ის აძლიერებს კუნთების მუშაობის და ყურადღების მიპყრობის უნარიანობას. ამიტომ ყავა ხელს უწყობს როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ მუშაობას. ყავის მიღების შემდეგ ორგანიზმის მოქმედება ძლიერდება, შემდეგ კლებულობს, მაგრამ არ ეცემა ნორმაზე დაბლა.

ლენინის გზებზე

— **საწვავი მასალის მომჭირნეობა.** გამომუშავებული და შემოღებული იქნა დაჯილდოება იმ მემანქანეების, რომელნიც გამოიჩენენ მუყაითობას საწვავი მასალის მომჭირნეობაში.

— **ქიათურის ლიანდაგის გაფართოება.** განზრახულია ქიათურის ვიწრო ლიანდაგის ფართო ლიანდაგით გადაკეთება, შავი ქვის გადაზიდვის გადიდების მიზნით.

— **რკინისგზელთა პროფესიონალური ჟურნალი.** ა|კ. რკინისგზელთა პროფკავშირს განზრახვა აქვს გამოსცეს პროფესიონალური ჟურნალი.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მაგალითი

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა, როდესაც გაიგეს, რომ საშინელმა წყალდიდობამ აურაცხელი ზიანი და ზარალი მიაყენა ლენინგრადის პროლეტარიატს, მოიწვიეს საერთო კრება და ერთხმად დაადგინეს გაეწიათ მათთვის ძმური დახმარება. ამისათვის 26 ოქტომბერს იმუშავეს ყველამ დაუკლებლად. სამუშაოზე გამოვიდა ქალი და კაცი და მთელ სამუშაო დღის განმავლობაში სწარმოებდა ხალისიანი და ერთსულოვნური მუშაობა.

მთელი ამ დღის მუშაობის ჯილდო ჩვენმა მუშებმა გადასდევს ლენინგრადის მუშების სასარგებლოდ.

მუშკორი მიხ. ვარსიმაშვილი.

თავგასული საქმეთა მმართველი

(ა.-კ. ფინ-სახკომის და ადგილკომის საყურადღებოდ).

ფინანსთა სახ. კომისარიატში ა|წ. იანვარში მიღებული საქმეთა მმართველმა—თავისი თავი „მეფედ" გახადა, რაც ეხლავე ძირიან-ფესვიანად უნდა იქნეს ამოკლეჯილი, რადგანაც საბჭოთა წესწყობილების დროს ასეთი პირები უნდა იქნენ ალაგმულნი პირველ ნაბიჯიდანვე მოჰკიდა ხელი თანამშრომლებს (მათში იყვნენ კომუნისტებიც) უხირდებოდა, უყვიროდა მათ. ისინი ვერ შეურიგდნენ მის ბრიყვულ ქცევას და იძულებული გახდნენ სამსახურიდან გამოსულიყვნენ.

შტატი 3 კაციდან გახადა 9 კაცამდე (ისიც უმრავლესი თავისი ნაცნობებისაგან). ფულის შოვნის წყარო კი იპოვნა, რადგანაც საქმეებს დღე „ვერ ასწრებდნენ" დაეთავებინათ, მუშაობდნენ საღამოობით, რაშიაც იღებდნენ ზედმეტ გასამრჯელოს. მოიგონა ათასნაირი მუშაობის სისტემები და საქმეს უფრო ართულებდა.

მისი „კაბინეტი" სავსე არის ნაესავებით და ნაცნობებით—სადაც ადამიანს დიდი მეჯლისი ეგონება.

ხშირად მივლინებაშიაც კი მიბრძანდება და ისვენებს ხოლმე. ასეთი ბოროტი და უსირცხვო ადამიანები სასწრაფოდ უნდა ალაგმოთ.

პარტკორი გ—ვი.

მოგვაშორეთ თავხედი მასწავლებელი.

(ქ. ალმახკომის და განათლების კომისარიატის საყურადღებოდ)

ჩვენი შვილების მასწავლებლებს თვალყური უნდა ვადევნოთ, თორემ მათში ჩაერევა ისეთი, როგორც მაგ. ავლაბარში მე-19 ქართულ სკოლაში ბრძანდება ქ-ნი ნ. გძელიშვილი. იგი არ არის თავის ადგილას. მას გამოჰყოლია თავისი მამის (ცნობილი შავრაზმელი მღვდელი) თვისებები. დარჩენია მედიდურობა, ლანძღვა-გინება, უდიერი მოპყრობა, როგორც მოსწავლეების მშობლების მიმართ, ისე დარაჯების მიმართ. უფროსებთან „მამა აბრამის ბატკანია". დანარჩენები კი მონებად გახადა, რადგანაც ემუქრება სამსახურიდან დათხოვნას. თვითონ 4 ოთახი უკავია და მუშას კი სარდაფში მიუჩინა ბინა. მოაშორეთ ჩვენ პატარა შვილებს ასეთი მტერი და ბოროტი.

მუშკორი ეკალი.

გაიძვერა ვაჭრები ალაგმეთ!

(მე-11 უბნის მილიციის საყურადღებოდ)

ლენინის უბანში ლოტკის მოედანზე ამ უკანასკნელ ხანებში იწყეს გლეხებმა ახლო სოფლებიდან შემოზიდვა სხვადასხვა სანოვაგის კარტოფილის, კომბოსტოს, ლობიოს და სხვა ამით საშუალება ეძლევა აქ მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს, შეიძინონ კარზე მიტანილი მათთავის საჭირო სანოვაგე თვით გლეხებისგან დაბალ ფასებში. მაგრამ აქაური ვაჭრები როდი აძლევენ ამის საშუალებას და მოხერხებულად აცლიან ხელიდან მცხოვრებლებს გავსებულ ურმებს. აი მაგალითად ა. წ. 23 ოქტომბერს აქვე მოვაჭრე არსენ მეზვრისშვილმა ხელიდან გამოსტაცა ერთი ურემი კართოფილი მცხოვრებლებს რომელსაც გლეხი აფასებდა 75 კაპ.. მან იყიდა 70 კაპიკად. და მეორე დღესვე ფუთზე წაუმატა 15 კაპიკი.

ეს სპეკულიანტები აძრობენ ტყავს გლეხებს და ადგილობრივ ღარიბ მოსახლეობასაც.

მუშა ხიონელი.

(რკ. გ[illegible]ლებოდ)

სახალხო სადგურის მუშები უკიდურეს დღეში არიან „უტაჩკობით". მატარებლები სადგურიდან შორს დგებიან და იქიდან ტვირთის, იმ სიშორეზე წაღება, ეს ყოვლად აუტანელი და შეუძლებელია მტვირთავ მუშისათვის. „ტაჩკები" ძველ დროინდელი გაკეთებული დღესაც ვერ შეაკეთეს და ყრია უპატრონოდ.

რაშია საქმე? ნუ თუ ამაზე არავინ არ გამოვიდა ერთი გულშემატკივარი? თუ მუშების წვალებას არაფრად აგდებთ?

ეს „ტაჩკები" ხომ სახელმწიფოს ქონებაა და რატომ ამაზე სამმართველო არა ზრუნავს, სწორედ გასაკვირალია.

ასეთი მდგომარეობა მუშაობას აფერხებს და საქმის წარმოებას ხელს უშლის.

მუშა გიორგი დანდუროვი.

მე-3-მე საბჭოთა აფთიაქი

(ყოფილი მე-10 სახ. აფთიაქი)

მე-3-მე საბჭოთა აფთიაქში მუშა-მოსამსახურეები პირნათლად და თანხმობით ასრულებენ თავის მოვალეობას. 21 ოქტომბერს მოხდა გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში კარჩეულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში დელეგატებისა, 2) გადარჩევა დელეგატებისა და 3) მიმდინარე საკითხები. მოხსენება გააკეთა ძილიან მისაწდომი გადმოკვეთით ამხ. მიხმანოვმა, რომლის მუშაობა კრებამ ჩასთვალა ფრიად დასაკმაყოფილებლად და ერთხმად აირჩია ის დელეგატად.

წყლისპირელი.

წყლის საკითხი კიდევ ვერაა მოგვარებული

(ალმახკომის საყურადღებოთ).

ხშირად გვიკეტავენ წყალს, რის გამო რამოდენიმე კვირა ერთიბით სრულიად უწყლოთ. მიზეზად წყლის დაკეტვისა გვისახელებენ ზოგიერთ მოსახლეთა წყლის ფულის [illegible] მოსაწო[illegible] რად წყალი არა აქვთ.

წყალს ნუ დაკეტავთ, რადგანაც ეს ქმნის ანტისანიტარულ მდგომარეობას საცხოვრებელ ბინებში, შემოიღეთ ორმაგი და მეტიც ჯარიმა იმათთვის, ვინც დროზე არ გადაიხდიან წყლის ფულს და ადმინისტრატიული წესი გადაახდევინეთ. ეს იქნება უფრო მიზანშეწონილი.

მუშა უწყლოდ ტანჯული.

გახსენით ბაღი „სტელლა" ბავშვებისათვის.

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

სოლოლაკშიც ბევრი მუშა-მოსამსახურეები სცხოვრობენ. მათ ჰყავთ პატარა შვილები. ბაღი „სტელლა" მათთვის ერთად-ერთი სასეირნო კუთხეა, სადაც ისინი სუფთა ჰაერით სარგებლობენ. ბაღი კი დაკეტილია გაგვიხსენით „სტელლა" ჩვენი ბავშვებისათვის.

მეეზოვე ქალი ი—ნა.

გაუგზავნილი წერილებიდან

გასწმინდეთ რკინიგზა შავბნელ ძალისაგან.

(რკ. გზ. საუბნო კავშირის საყურადღებოდ).

რკინისგზებზე დღემდე ბევრი ბოროტმოქმედნი და ბნელი ძალები ინახავენ თავს,—ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგების გულკეთილობით რაც ფრიად სამწუხაროა. შავრაზმელები კი ბოროტად იყენებენ მათდამი ჩვენს ნდობას და ათასგვარ მახინაციებით ებრძვიან საბჭოთა ხელისუფლებას. ასეთი ძალების გან უნდა გაიწმინდოს რკინისგზა აუცილებლად და არა მუშკორებისგან, რომელთა გაწმენდა აქვთ განზრახული აღნიშნულ შავძალებს.

მუშა რკინისგზელი.

განათლების ფრონტზე

განათლების პედაგოგიური ჟურნალი.

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს ორკვირეული პედაგოგიური ჟურნალი.

საბავშო გამოცემლობა

განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სოციალურ აღზრდის მმართველობასთან არსებულ ლიტერატურულ-სამხატვრო სექციას გააძლიეროს საბავშო წიგნების გამოცემლობა.

წიგნები უფასოდ ღარიბ მოწაფეებს.

განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა საბავშო წიგნები უფასოდ დაურიგოს ღარიბეს გლეხების მოსწავლე შვილებს.

რაიონული სკოლების გახსნა.

განათლების კომისარიატმა საჭიროდ სცნო მაზრებში რაიონულ სკოლების გახსნა. სათანადო გეგმის შედგენა დაევალა ამხ. გურგენიძეს. ასეთი სკოლების მიზანი იქნება უმთავრესად მეცნიერების ირგვლივ მუშაობის წარმოება, მასწავლებელთა გადასამზადებელ საქმის ხელმძღვანელობა და სხვადასხვა პედაგოგიურ-მეთოდიური საკითხის დამუშავება.

მცირე წლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში.

სექტემბერში მცირე წლოვანთა დანაშაულობის საქმეების განმხილველ კომისიაში შემოვიდა 14 საქმე, 19 ბავშზე, რომელთაც ბრალდებათ სხვადასხვა დანაშაულობის ჩადენა. მათ შორის 14 ვაჟია, 5 ქალი. ეროვნების მიხედვით—5 ქართველი, რუსი—9, სომეხი—4 და მაჰმადიანი—1.

ქრონიკა

— მენშევიკების „ტერორი". 26 ოქტომბერს ცნობილმა ბანდიტმა ჩუხაშვარიამ, გურიაში მენშევიკური „აჯანყების" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოკლა აცანის თემის (გურია) საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სერგო ჩხაიძე.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამზადება.** ამ ჟამად ეკონომიურ საბჭოს ქარხანა ამზადებს [illegible] სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

— [illegible] კოოპერატივმა „მომხმარებელმა" დესიმონოვის მოედანზე გახსნა წითელი სასადილო, ღამის გასათევი ოთახებით და ეზოთი.

— **სახ. კომისართა საბჭომ** დაამტკიცა სოც. უზრ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ აღრიცხვა განსაკუთრებული კატეგორიის მქონე ინვალიდებისათვის პენსიების გასაძლიერებლათ. (ასეთ კატეგორიებს ეკუთვნიან რევოლიუციის წინაშე დამსახურებულნი, სამოქალაქო ომში დასახიჩრებულნი, რევოლიუციისათვის დაღუპულთა ოჯახები და სხ.).

— **საქველმოქმედო მარკები.** უკვე გამოვიდა ომში დასახიჩრებულთა დამხმარე კომიტეტის საქველმოქმედო მარკები..

— **ხე-ტყის მასალა მუშათა ასაშენებელ სახლებისათვის.** მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტი ამ ჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას საქ. სატყეო ტრესთან და ა|კ. რკინის გზათა სამმართველოს სატყეო განყოფილებასთან მუშათა სახლებისათვის ხე-ტყის მასალის მიწოდების შესახებ.

— **მიწად-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ,** შარშან მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების გამოფენისათვის, მოსკოვიდან გუშინ 30 ოქტ. მიიღო ორი დიპლომი.

— **ა—კ. ფინსახ-კომის განმარტებით** მეფუტკრეობაზე არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

— **წერა-კითხვის უცოდინარობა,** ტფილისში ამ ჟამად გახსნილია 6. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა ხოლო წერა-კითხვის მცოდნეთათვის 56 სკოლა.

— **საბინაო აღმშენებლობა.** ტფ. ალმასკომმა დაამტკიცა 12 საბინაო საალმშენებლო ამხანაგობის წესდება.

— **საბინაო სესხი.** საბინაო კოოპერაციის დამხმარე ტფ. კომიტეტი ამ ჟამად იმუშავებს გეგმას საბინაო აღმშენებლობისათვის სესხის ასაღებათ.

— **ლენინის სახელობის ბაღში.** ქალაქის კეთილ-მოწყობის განყოფილებამ უკვე მოაწყო განათება.

— **სულით ავადმყოფთა აღწერა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ დაამზადა 6 ათასი ანკეტა რესპუბლიკაში სულითავადმყოფთა აღსაწერათ.

— **უფასო წამლობა.** რესპუბლიკის მთავარ საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებებში ზაფხულის განმავლობაში უფასოთ უწამლეს ყველა ავადმყოფების 70 პროცენტს.

— **დახმარება უმუშევრებს.** შრ. ბირჟა 31 ოქტ. გასცემს ოქტომბრისთვის დახმარებას: ხელოვნების, ბეჭდითი მუშაკთა, მედსანშრომის და საერთო მაგიდის სექციების უმუშევრებს.

შემთხვევები

— ქურდი სტუმარი. 29 ოქტ. გრიბოედოვის ქუჩა № 6, ანნა ჩერნიშევსკაიას ევდოკია ასატუროვისამ სტუმრობის დროს მოპარა 15 მან. 50 კ., 4 ლირა და 15 არშინი ჩითი. ქურდი შეიპყრეს.

— ქურდობა. 29 ოქტ. ნიკოლოზის ქუჩა გაქურდეს ბორის გლებოკოვის ბინა, წაღებულია 230 მ. ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს აგრაფინა ზამჩენკოს ბინა, პლეხანოვის პრ. № 174.

— 28 ოქტ. გაქურდეს ხოქ. ძიმისტარაშვილის ბინა.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური დრამა

„მალშტრემ"

ის ნაწარმოები თავისებურია და უცნაური. მას ახასიათებს გარეგანი ფერადოვნება და შინ არსის სრული გაუგებრობა. ეს არის თვალის საცდუნებელი ბრჭყვიალა მოზაიკა. იგი არის ერთდროული თავმოყრა ექსპრესიონიზმისა და რეალიზმისა, თანამედროვე ქალაქისა და მიყრუებულ წისქვილისა, სიძველისა და სიახლისა, თავდადებისა და ფუქსავატობისა.

ეს პიესა არ არის მთლიანი ნაკადი მხატვრული შემოქმედებისა. არ არის კავშირი მოქმედებასა და მოქმედებასა შუა. არც სცენასა და სცენას შუა. ავტორი ეთაყვანება რომელიმე ლამაზ და ძლიერ გამოთქმას, მოსწონს რომელიღაც ნახტომი, ეტრფიალება რაიმე სურათს, ჰხიბლავს შემთხვევითი უცნაურობა, კონტრასტი, ან გალაღებული ესტეტიური ინტუიცია მოითხოვს მოულოდნელ ასახვას: ამიტომ იწერება საკუთარი სცენა. საკუთარი მოქმედება; ამიტომ არიან დაშორებული ერთი ერთმანეთს ეს ფერადოვანი სურათები.

აქ გაკვრით ელავს სხვადასხვა პრობლემებიც: პიროვნებისა (პირველი და მეორე მოქმედება). სოციალური (ნაწყვეტ-ნაწყვეტათ თითქმის ყველა მოქმედებაში), ფილოსოფიური (აინშტაინისა და კანტის მცნებანი) ეპოქალური (პირველი და მეხუთე მოქმედება.), ზნეობრივი (უმეტესად მორალის სახით.) აქვე არის ბედისწერისა და ესტეტიკის საიდუმლო ჩვეულებაც. მაგრამ თვით ავტორს, ეტყობა, ყველაზე მეტათ ჰხიბლავს გარეგანი ეფექტი ყველა ამ სცენებისა და პრობლემებისა და არა შინაგანი ზღვაობა და მპყრობელობა ამიტომ არის ეს ნაწარმოები ზერელე და ყოვლად გაუგებარი.

იგი არ ეცხობა გულს მცირეოდენადაც კი, მაგრამ თვალი კი ჰპოვებს მხატვრულ მირაჟებით შეზავებულ სანახაობას.

„მალშტრემი" ეს საბედისწერო სახელ[illegible] თითქოს საცდელი გამოცდა აკადემიური დასისთვის. და ამ ცდამ სათანადოდ ჩაიარა ეს იყო ქართული სცენის მი[illegible] დღესასწაული. ამ მხრივ მიიქცია „მალშტრემმა" ყურადღება.

ჩვენი თეატრის მოსიყვარულეებმა თითქმის ყველამ ნახეს გასულ სეზონში ეს წარმოდგენა. ამიტომ კერძო მოთამაშეთა ჩამოვლით აღარავის გავაბეზრებთ.

სამშაბათის „მალშტრემის" შესათასებლათ ის ისიც გასული სეზონის თამაშობა უნდა მივიღოთ საზომათ.

სეზონის დასაწყისს ასეთი უსიცოცხლო და უძლური თამაში არ შეეფერება. ყველა მექანიკურათ და უხალისოთ სრულებდა თავის როლს. მთელი ანსამბლი სიცივის გრძნობას ჰნერგავდა მაყურებელში და აუდიტორიაც სრულიად უცხოსავით უცქერდა მთელ წარმოდგენას.

მხოლოდ გიორგი დავითაშვილი იყო ძველებურ ეშხზე.

თამარ ჭავჭავაძე პირველ მოქმედებში თითქმის უკეთესიც იყო, ვიდრე წინეთ, შემდეგ იმანაც ხელი შეუწყო ანსამბლის უგულობას

ულამაზოთ ჩატარდა მეორე მოქმედებაში მებადურების სცენაც და სიმღერაც.

აგრეთვე სუსტი იყო მეოთხე მოქმედების ულამაზესი სცენა კეთროვანისა და მორელას შეხვედრა.

საერთოდ კი სეზონის დასაწყისს არ შეეფერება ისეთი მოქანცული წარმოდგენა, როგორიც იყო სამშაბათის „მალშტრემი".

ლელი.

— პარასკევს 31 ოქტომბერს მიდის „პიკის ქალი" მონაწილეობენ: პარტოშ-სედ ნკო, ბაჰკინა, ტოვსტოლუჟსკაია—შინ. [illegible]ძე, დობროვ ნსკაია, ნეიმაი, მოსინი, ჟურავლევი, შარაშიძე, კურბატოვი, იგონინი, დ მიანენკო, ქურხული, დირიჟ ს ოლერმანი, ბალეტს ხელმძღვან ლობს სერგეევი.

სპორტი

ფეხბურთელთა შეჯიბრება

კვირას, 26 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სპორტ-მოედანზე გაიმართა ფეხბურთელთა სამი შეჯიბრება. პირველი მატჩი დაიწყო დილის 11 საათზე. ერთმანეთს შეხვდნენ კომანდა „გავრიშ" და ქართული მუშფაკის კომანდა. მატჩი არ იყო საინტერესო, რადგან არც ერთი მხრიდან არ იყვნენ გაწვრთნილი მოთამაშეები. ამას გარდა არც ერთი კომანდა არ თამაშობდა სრული შემადგენლობით. შეჯიბრება გათავდა „გავრიშ"-ის გამარჯვებით 3:2.

დღის 1 საათზე ამავე მოედანზე გაიმართა მეორე შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მე-21 ქვ. სკოლის კომანდამ და თბილისის ფეხბურთელთა კომანდამ (ტ. ფ. კ.—ყოფ. „კიმ"). ეს მატჩი საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ორი ძლიერი კომანდები. მე-21 ქვ სკოლის ფეხბურთელები თანდათან უფრო იწვრთნებიან, ისინი „ბრძოლის ცეცხლში" სწავლობენ თამაშის ტეხნიკას. ძლიერია მათი ცენტრის და დამცველთა შემადგენლობა, მოისუსტებს განაპირა კუთხეებზე მოთამაშეთა ნაწილი.

თბილისის ფეხბურთელთა კომანდა (ყოფ. „კიმ"-ი) წინეთ ერთერთ უძლიერეს კომანდათ ითვლებოდა თბილისში. პერსონალურათ მასში არიან საუცხოვო მოთამაშეები, მაგრამ რამდენათაც იქ სულ ახალგაზრდები არიან (კომკავშირელები), მათ აკლიათ გამძლეობა.

შეჯიბრებამ პირველ ხანშივე გაცხოველებული ხასიათი მიიღო. შეტევაზე უმთავრესათ მე-21 სკოლის ფეხბურთელები გადადიოდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ძალა აშკარათ მათ მხარეზე იყო მათ მაინც გააფრთებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მეტათ ლამაზია თბილისის კომანდის ფეხბურთელთა თამაშის ტეხნიკა. ამ მხრივ უპირატესობა მათ მხარეზე იყო. შეჯიბრებიდან გამარჯვებული გამოვიდა მე-21 სკოლა—2:0.

მესამე შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ უთანასწორო კომანდები: ს. ორჯონიკიძის სახელობის კომანდა (ყოფ. საბჭოთა მუშაკების), რომელიც ყველაზე უფრო ძლიერ კომანდათ ითვლება თბილისში, და მთავარ სახელოსნოების ფეხბურთელები.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა მუშაკების კომანდას აკლდა ერთი ცნობილი მოთამაშე და ამას გარდა თამაშის დროს ფეხების დაზიანების გამო მწყობრიდან გამოვიდა კიდევ ორი მოთამაშე,—გამარჯვება მაინც წილათ ხვდა საბჭოთა მუშაკებს.

ჩვენ გვინდა ფეხბურთელთა ლიგის ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ შეჯიბრების დროს სპორტ-მოედანზე ყოველთვის უნდა იყოს ექიმი, რადგან თამაშის დროს მოსალოდნელია მარცხი. გუშინაც იყო ასეთი შემთხვევა: მძლავრათ დაცემის გამო ერთმა მოთამაშემ იტკინა ფეხი საჭირო შეიქნა ექიმი, მაგრამ ასეთი ახლო მახლო არ აღმოჩნდა.

ბ.

პროვინციაში

სალხინოს გლეხკომი გამოიღვიძე

(სენაკის მაზრა)

სალხინოს რაიონი სენაკის მაზრის ერთი უშორესი რაიონია. აქაური ხალხი საერთოდ კულტურულად და პოლიტიკურად ჩამორჩენილია.

ჟურნალ-გაზეთებს ძვირად თუ წაიკითხავს აქაური მიწის მუშა. გაზეთების საჯარო წაკითხვა, რომელიც აქ ყველაზე უფრო მეტად არის საჭირო, სრულიად არ სწარმოებს. სამკითხველოები არსად არ არის, გარდა ს. კიწიისა.

ამ მოვლენას ესაჭიროება მთავარი ყურადღების მიქცევა. საჭიროა ყველა ამათ მთავარი ყურადღება მიაქციოს გლეხკომმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ აქაური გლეხკომი სრულებით არაფერს აკეთებს. მას სძინავს. მისი ხელი სრულებით არ ამჩნევია საზოგადოებას. ეს კი პირდაპირ დანაშაულია. რისთვის არიან იქ, გლეხკომში, მისი წევრები, თუ არაფერს აკეთებენ?

რაიაღმასკომმა მიაქცია ამას თუ არა ყურადღება?

სამაზრო გლეხკომის ვალდებულებაა გამოაცოცხლოს სალხინოს გლეხკომი და მისი გადარჩევით ჩააბას ის აქტიურ მუშაობაში.

ბ. უჩანეიშვილი.

ციმბირის წყლული

უშაფათის თემი (სენაკის მაზრა)

უშაფათის თემის ერთ კუთხეში სახელდობრ ლეკოკაიეში თავი იჩინა ციმბირის წყლულმა. ერთი კვირაა, რაც აქ იხოცება ფრინველები, ღორები და სხვა ოთხფეხა ცხოველებიც.

ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით შეკრულია გზები, შეჩერებულია აქ მისვლა-მოსვლა ურმით. მაგრამ საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება, რომ ჭირმა არ მიიღოს ფართე ხასიათი. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

მეთვალყურე.

ბნელი კუთხე

სოფ. ებნისი (დუშეთის მაზრა)

ს. ებნისი მდებარეობს ქალაქ დუშეთიდან დასავლეთით 7—8 ვერსის მანძილზედ. ამ სოფელში ირიცხება 70—75 კომლი მიწის მუშა გლეხი, ეროვნებით ქართველნი, რომელნიც უმთავრესად მისდევენ ხვნა-თესვას, მევენახეობას და მებოსტნეობას.

მიწას ამუშავებენ ძველი იარაღებით.

აქ მესამე წელიწადია არსებობს პირველდაწყებითი შრომის სკოლა, რომელიც დღეს ერთს შენობაშია, ხვალე მეორეში და შემდეგ ვინ იცის სად. ასეთს მდგომარეობაშია სასწავლებელი საკუთარი შენობის უქონლობით. ხალხს, ბაზალეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ჩიჩინით, ამ ზაფხულს მოუმზადებია ქვიშა და ქვა, და გაზაფხულისათვის აპირებენ სკოლის შენობის აგებას. საჭიროა რაიაღმასკომმა ხშირ-ხშირად მოაგონოს ხალხს თავისი გადაწყვეტილება, თორემ ბევრი გაზაფხული შეიძლება გავიდეს და ებნისელებს სკოლის შენობა არ ექნებათ, რადგან სოფელი ძველებურად გულისყურს აქცევს ზევიდგან ნაბრძანებს და ჯვითმოქმედების უნარი ჯერ ვერ გამოუჩენია.

სოფელი მდებარეობით ოდნავ ფერდობიანია. მეტად ამშვენებს მას ჩრდილოეთიდან ნახევარი ვერსის მანძილზე გადმომცქერალი ქოჩორა ტყე და რა თვალწარმტაცი სურათი ეშლება კაცს აქედან რომ გაიხედოს სამხრეთით: ვერცხლის დაკლაკნული ზოლივით ჩაუდის ნარეკვავი მჭადიჯვარ-მალისამდე და შემდეგ შორს მოსჩანს თვით ქსნის მტკვართან შესართავი სად. ქსანით.

მაგრამ მთელი ეს თვალწარმტაცი სურათი დაგავიწყდებათ, როცა გაიხსენებ სოფ. ებნისის წყაროს, რომელიც იმდენად მცირედ იძლევა წყალს, რომ თუნგიანი ქვევრის ავსებას უნდება ერთ საათზედ მეტ ხანს. ზამთარში ყინვების დროს მანდილოსნები ცეცხლს ანთებენ წყალთან და შიშველ-ტიტველნი ელიან როდის ერგებათ ჯერი. ხალხს ის ვერ მოუხერხებია, რომ აცნობოს ამის შესახებ სარაიონო მმართველობას და მისი დახმარებით გამოიყვანოს წყალი.

წრეულს ჩვენს სოფელში გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, სადაც ჯერ-ჯერობით მოზრდილები დიდ ხალისს იჩენენ.

შეიძლება აწი მაინც გამოიჩინონ ებნისელებმა გარჯის უნარი და გამოიყვანონ წყალი. წყლები სულ ერთი ვერსის მანძილზედ მაღლა ტყეში იპოვება და პირდაპირის შიმართულებით შეიძლება მათი დაღმა წამოყვანა.

ბურდიანელი.

საბინაო-საამშენებლო საზოგადოება ხაშურში

21 ოქტომბერს ხაშურის რკ. გზ. კლუბში შესდგა საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 97 კაცი.

კრებას ხსნის საინიციატივო ბიურო. ამხ. ა. ბუხნიკაშვილი მოკლეთ აცნობს კრებას დროებით გამგეობის მუშაობას.

წევრებად დამტკიცებული იქნა 128 კაცი.

საზოგადოება მიზნად ისახავს ახალი ბინების აშენების მუშებისათვის, დაუმთავრებელი ბინებს შეკეთებას და შემოსავლიან ორგანიზაციების დაარსებას საპაიო გადასახადი კრებამ განსაზღვრა თითო წევრზე 30 მან. საწევრო გადასახადი სამი თვის განმავლობაში თითო მან. სამი თვის შემდეგ კი სამ-სამი მან.

საზოგადოებაში ჩაწერის მსურველები კიდევ ბევრი არის.

შემდეგ კრებამ აირჩია ახალი საბ. საამშ. კოოპერ. გამგეობაში შემდეგი ამხანაგები; ი. კომახიძე, ა. ბუხნიკაშვილი, ი. ძაძამია, ს. კაპანაძე, ა. ბასიშვილი, კვალიაშვილი და მელაძე, კანდიდატებათ: ი. ურიათმყოფელი და პოპრიადუხინი.

სარევიზიო კომისიაში—პ. მეტრეველი, ლ. გოგოლაძე და გედევანოვი; კანდიდატებათ: ზურაბოვი და ლომასაძე.

ი. ბარნელი.

პროვინციის ქრონიკა

— **რაჭის გლეხკომები.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა გაგზავნა ინსტრუქტორი რაჭაში, გლეხკომების მუშაობის გასაცხოველებლათ.

— **სარწყავი არხი შულავერში.** ბორჩალოს სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა შაუმიანის რაიონში გაიყვანოს სარწყავი არხი 25 ვერსის მანძილზე.

— **რაჭის ყველა ტიპის სასწავლებლებში** მასწავლებელთა რიცხვი უდრის 190.

— **სახალხო განათლება.** ხალხის საყოველთაო განათლების მიზნით ახალ-ქალაქის მაზრის ყველა სკოლებთან არსდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები.

— **რაჭის აღმასკომი ონში** შეუდგა სასაკლაოს მოწყობას.

— **მუზეუმები სოფლის სკოლებთან.** ახალქალაქის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფლის სკოლებთან მოაწყოს მუზეუმები, სადაც შეძლებისდაგვარათ მოგროვილი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დამახასიათებელი ნივთები.

— **საქონლის მოსაშენებლათ.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს შვეიცის ჯიშის ძროხები, ბუღები და ვირები.

— **რიცეულის ელსადგური** რიცეულის ჰიდრო ელექტრო სადგურის (ქვემო-რაჭაშია) ასაშენებლათ უკვე გაიყვანეს გზა ორნახევარ ვერსის მანძილზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომის საალრიცხო-განმანაწილებელ ქვეგანყოფილებაში.

მარიამ მიქაძე, ვართან კარაგიულიანი, თამარა ჟღენტი, ბახტაძე, გიორგი დრიაევი, გიორგი ქილაშვილი, ივანე შეიკინი, ავეტიკ ყაზაროვი.

— 31 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბინაზე შესდგება კოოპერატიული კომისიის სხდომა.

კოოპერატიული კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

პროფესიული

განათ. მუშ. სახლში.

— 31 ოქტომბრიდან განათ. მუშაკთა სახლში დაიწყება მეცადინეობა მასწავლებლობის გადასამზადებელ კურსებზე. კურსები მოწყობილია მასწავლებლობისათვის და გაგრძელდება 6 თვე. ამ ხნის განმავლობაში წაკითხული იქნება შემდეგი საგნები:

1) პოლიტ-ეკონომიის საფუძვლები, 2) ს. ს. რ. კ. კონსტიტუცია, 3) მუშათა საერთაშორისო მოძრაობის თანამედროვე მდგომარეობა, 4) იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის ახალი საფეხური, 5) რ. კ. პ. ისტორია და ლენინიზმი., 6) სახალხო მეურნეობის მდგომარეობა ს. ს. რ. კავშირში და კერძოთ ს. ს. ს. რ. და ახალი ეკონომიური პოლიტიკა, 7) რ. ს. ფ. ს. რ. საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკა და სახალხო განათლების სისტემა, 8) მასწავლებლობის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს: ქართულ და რუსულ ენებზე.

კურსებზე პირველ რიგში მიიღებიან შრომის სკოლების პირველი ოთხი ჯგუფის მასწავლებლები, საბავშვო სახლების და ბაღების თანამშრომლები.

ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე განათლების მუშაკთა სახლში 1—3 საათამდე და საღ. 5 ს.—8 საათამდე.

— სამშაბათს 4 ნოემბერს საღ. 6 საათზე **მ. პ. ორახელაშვილის** მოხსენება: „ოქტომბრის რევოლიუცია და სკოლა“.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს 1924 წ. 1 ნოემბრიდან მატარებლების მიმოსვლის ახალ საზამთრო ცხრილს.

მატარებლები, რომლებიც გადიან თბილისიდან.

მატარებლების №№	სად გადიან	გასვლის საათი მოსკოვის დროით	გასვლის საათი ადგილობრივ (თბილისის) დროით	გასვლის დღეები
1. ჩქარი.	მოსკოვში.	საღამოს 10 საათ. 40 წ.	საღამოს 11 საათ. 40 წ.	ოთხშაბათ.
1. ჩქარი.	ლენინგრადში.	„ 10 საათ. 40 წ.	„ 11 „ 40 „	შაბათობ.
3. საფოსტო.	როსტოვში.	დილის 8 „ 25 „	დილის 9 „ 25 „	ყოველდღე
4. „	ბათომში.	საღამოს 9 „ 00 „	საღამოს 10 „ 00 „	„
3. ერევნ. საფ.	ერევანში.	საღამოს 9 „ 20 „	საღამოს 10 „ 20 „	„
3 | 4. „ საფოს.	თელავში.	საღამოს 11 „ 40 „	ღამის 12 „ 40 „	„
7. სამგზავრო.	ბაქოში.	დღის 2 „ 35 „	დღის 3 „ 35 „	„
8. „	ბათომში.	დღის 4 „ 30 „	დღის 5 „ 30 „	„
10. „	ფოთში.	საღამოს 11 „ 00 „	ღამის 12 „ 00 „	„
20. „	ბორჯომში.	დღის 2 „ 20 „	დღის 3 „ 20 „	„
21. საბ.-სამგზ.	ბაქოში.	ღამის 1 „ 30 „	ღამის 2 „ 30 „	„
22. „ „	ბათომში.	ღამის 1 „ 00 „	ღამის 2 „ 00 „	„
22. ე „ „	ერევანში.	დილის 10 „ 00 „	დილის 11 „ 00 „	„

მატარებლები, რომლებიც მოდიან თბილისში.

მატარებლების №№	საიდან მოდიან	მოსვლის საათები მოსკოვის დროით	მოსვლის საათები ადგილობრივ (თბილისის) დროით	მოსვლის დღეები
2. ჩქარი.	მოსკოვიდან.	დილის 8 საათ. 35 წ.	დილის 9 საათ. 35 წ.	სამშაბათ.
2. „	ლენინგრადიდან.	„ 8 „ 35 „	„ 9 „ 35 „	პარასკ.
4. საფოსტო.	როსტოვიდან.	საღამოს 7 „ 00 „	საღამოს 8 „ 00 „	ყოველდღე
3. „	ბათომიდან.	დილის 6 „ 00 „	დილის 7 „ 00 „	„
4. ე საფოსტო.	ერევნიდან.	დილის 6 „ 35 „	დილის 7 „ 35 „	„
3 | 4. „	თელავიდან.	საღამოს 7 „ 30 „	საღამოს 8 „ 00 „	„
8. სამგზავრო.	ბაქოდან.	დღის 3 „ 15 „	დღის 4 „ 15 „	„
7. „	ბათომიდან.	დღის 1 „ 00 „	დღის 2 „ 00 „	„
9. „	ფოთიდან.	დილის 9 „ 00 „	დილის 10 „ 00 „	„
19. „	ბორჯომიდან.	დილის 7 „ 00 „	დილის 8 „ 00 „	„
22. საბ.-სამგზ.	ბაქოდან.	ღამის 3 „ 00 „	ღამის 4 „ 00 „	„
21. „ „	ბათომიდან.	საღამოს 9 „ 45 „	საღამოს 10 „ 45 „	„
22. ე „	ერევნიდან.	საღამოს 9 „ 05 „	საღამოს 10 „ 05 „	„

შენიშვნა: 1) მატარებლები № № 9 და 10 თბილის-ფოთს შორის მიბმულია ყოველ დღე 3 მაგარი ვაგონი თბილის-ქუთაისს შორის გადაუჯდომლად და 2) მატ. № 3 და 4 თბილის-თელავს შორის მიბმულია ყოველ დღე ვაგონები თბილის-ჯულფას შორის გადაუჯდომლად ერთი რბილი დანომრილი ადგილებით დასაწოლად და ერთი მაგარი დანომრილი საჯდომად.

ნ. 115 1—1.

---

10 მანეთად

თვეში ვამზადებ

მათემატიკის

(არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) დაწყებითი და საშუალო სასწავლებლის პროგრამით.

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

ნის. 5—5

მედიცინის დოქ

ა. ა. მონს

მოზრდილების და ბავშვების შ. ნაგან და ნერვიული სისტემის სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით

საკურნალო კაბინეტ

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ. (გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის) № 1 ბ. № 2

ქ. № 2531—25—6

მედიცინის დოქტორ

ბერლინის უნივერსიტეტის

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულოზი. ძალიერის სპეციალური ექიმობა 914 შემდ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განაშუქება, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—6

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მარიამ ესტატეს ასული შონიასა აუწყებს ნათესავებს, მოყვრებს და ნაცნობებს საყვარელი და ძვირფასი მეუღლის

ანდრუშას

(ანდრია დიმიტრის ძე შონიას)

უდროოდ დაკარგვას. 2586 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: თეკლე კონსტანტინეს ასული თურქია, ეკატერინე ესტატეს ასული ჯაფარაძისა და გიორგი ესტატეს ძე თურქია ამით აუწყებენ ნათესავებს, მოყვრებს და ნაცნობებს, რომ ამა თვის 29-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი სიძე ექიმი

ანდრია დიმიტრის ძე შონია

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მთავარ საავადმყოფოს სასენში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

2586 1—1

ამა წლის კურს დამთავრებულნი ექიმები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 29 ამ თვის 10 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში უდროოდ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი და მეგობარი

ექიმი ანდრია დიმიტრის ძე შონია

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე მთავარ საავადმყოფოს სასენში.

2583 1—1

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს ექიმთა კოლეგია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ მათი ძვირფასი და საყვარელი ამხ. ექიმი

აანდრია დიმიტრის ძე შონია

გარდაიცვალა 29 ოქტომბერს. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

2592 1—1

გულდათუთქულნი: მშობლები მელიტონ გიორგის ძე და თედოსი კალანდაძეები, ძმა ვალიკო, ბიძა ფარნა თოდრია მეუღლითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 28 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ვახტანგი

ცხედარს 31 ოქტომბერს გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან—ბრიგადირის ქუჩა № 20, ნაშუადღევის სამ საათზე. დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2585 1—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა მთელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს მეგობრებს და საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის და საყვარელ თანამშრომელის

ექიმ ანდრია დიმიტრის ძე შონიას

უდროოდ გარდაცვალებას ამა თვის 29-ს პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზე მთავარ საავადმყოფოს სასენში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

2590 1—1

„კომუნისტი“-ს კანტორისაგან

პროვინციელ სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ განცხადებები მოწმობების დაკარგვის (და აგრეთვე სხვა ხასიათისაც)

უფასოდ არ დაიბეჭდება

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 31 ოქტომბერს

„პიკის ქალი“

შაბათს, 1 ნოემბერს

„ტოსკა“

3—2 ნ. № 110

სახელმწიფო დრამა

შაბათს, 1 ნოემბერს

„მათრახის პანაშვიდი“

კვირას, 2 ნოემბერს

„მალშტრემ“

6—4 ნ. № 104

„რევოლიუციის მატიანე“

ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ №№ 4—5 (9—10) გამოვიდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს

შინაარსი: 1) პირველი რევოლიუციის 20 წლის თავისთვის (მაზრკომებს და ოლქკომებს ცირკულიარული წერილი). 2) ხ. თალაკვაძე—1905 წელი. 3) 1905 წელი ჩვენში (ცნობები მუშათა და გლეხთა მოძრაობიდან, შავი რაზმის გარეშემო, სომეხ-თათართა ხოცვა ჟლეტა, მთავრობის რეპრესიები და სხ.,) 4) მ. პოკროვსკი. ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუციის 20 წლის თავი. 5) სერაფიონ ღომიძე—ზოგიერთი მოგონებანი რევოლიუციონური მოძრაობიდან (1903—05). 6) ხ. თალაკვაძე—პირველი მარქსისტი თეორეტიკი საქართველოში 90 წლების დასაწყისში. 7) „უთავმოლობის“ ნაყოფი (კრიტიკული შენიშვნები) ფ. შემოქმედელისა (ფ. მახარაძე), დაწერილი 1892 წ. ვარშავაში. 8) ზ. ჩქვილაძე—თბ. სასულიერო სემინარია მე-80 წლ. 9) ჟანდარმ რიის „საიდუმლო თანამშრომელნი“. 10) იასონ ჯორბენაძე—წარსულის ერთი ეპიზოდი (პროვოკატორ, სევ. ბახტაძე). 11) **მოგონებანი:** კ. ცინცაძისა, ს. თოდრიასი, ხ. ლომთათიძისა, გ. ლაფანაშვილისა, სოფრომ მგალობლიშვილისა—სოც. რევოლ. მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ. და ამხ. კამო და ი. შერმანისა. 12) ავტობიოგრაფიები მიხა ჩოდრიშვილისა და ნოე ლეჟავასი. 13) **რევოლიუციის მსხვერპლნი:** შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე, იუსტინე გოგოძე, ტიტი მშვიდობაძე. 14) **პარტიული არქივი**—კომუნისტების მუშაობა მენშევიკების ბატონობის დროს; რ. ს. დ. მ. პ. მოხსენება ამსტერდამის საერთაშორისო სოც. კონგრესისადმი, 15) **ბიბლიოგრაფია.** 16) **ტრიბუნა**—არაქელა ოკუაშვილი—პირველი მაისობა თბილისში. 17) **სურათები:** 1905 წ. ჩვენში (იმ დროინდელ გაზეთებიდან) 1. ცემა-ტყეპა, 2. გარბიან, 3. საპყრობილესაკენ, 4. შეპყრობილი წითელი რაზმელები, 5. დაბა-სოფლებს სწვავენ; ხალხი იხიზნება, 6. პურ-მარილი, 7 დამსჯელი რაზმის უფროსი. ილკა რიყიანაშვილი, კოტე ცინცაძე, შალიკო ასკურავა, ამბაკო სამანიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილი, გარსო და გრიშა მამაცაშვილები, სპირიდონ დვალი, ირაკლი დუმბაძე.

წიგნი შეიცავს 450-მდე გვერდს და ცალკე ნომერი ღირს 1 მან. 50 კაპ.

3—2 ნ. 112

თბილისის ქალაქის **ლომბარდი** (ლორის მელიქოვის ქ. № 8)

აცხადებს, რომ კვირას, 2 ამა ნოემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასული გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში

1—1 119

ელექტრონით და სინათლით

საკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—9

ს. ს. ს. რ. ცენტრალური სავაჭრო სამმართველოს ს. შ. უ. ს.

(სომხეთის ბაზარი № 62. ტელ. 10—27)

აიღო თავის თავზე

„ცენტრო-პრომბიზოლის“

წარმომადგენლობის მონოპოლია მთელს ამიერ-კავკასიაში

ცენტ. სავაჭ. გამგეობის საწყობებში მოიპოვება „პრომბკების“ დიდი რაოდენობა საფთიაქო, ქილებისა, ბოთლებისა, ღვინისა, მინერალური წყლისა, ლიმონათისა, ლუდისა და სხვა სასმელებისა. „პრომბკის“ ფირფიტები სატრანსპორტო, საამშენებლო და საგრილობელის მიზნით. „პრომბკის“ საყ რძნე და სა ტექნიკო ფხვნილი.

პირველივე მოთხოვნილებაზე იგზავნება პრეისკურანტიც და ნიმუშებიც. ფასები ნაწარმოებზე ერთობ ზომიერია.

ცენტრალური სავაჭრო სამმართველო

2—1 ნის. 114

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული

მთავარი საკურორტო სამმართველო

ცხადებს რომ 10 ნოემბრიდან იხსნება

შემოდგომის-ზამთრის-გაზაფხულის სეზონი

ქობულეთში. სანატორიუმი სრული პანსიონით

ძვლის, ჯირკვლების და კანის ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, ფილტვების ტუბერკულოზით პირველ სტადიაში, ემფიზემით, ასთმით, სასუნთქავი გზების ბრონქიალურ კატარით, გულის კომპენსატორულ მანკით, გულის ასთმით და რევმატიზმით, იმ რეკონვალესცენტებისათვის, რომელნიც დაავადებული არიან დაქანცულობით და ნევრასტენიით

სეზონი გრძელდება, მთელი წელიწადი სანატორიუმი საუცხოვოდ არის მოწყობილი, უხვი მზე, ზღვის სააბაზანოები.

გადასახადი: თვეში სრული პანსიონით—მკურნალობით და გარეცხვით კერძო პირებისათვის 150 მანეთი, კავშირის წევრებისა და მოსამსახურეებისათვის 115 მანეთი.

გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის წინდაწინ ჯანმრთელობის კომისარიატის სალაროში.

სანატორიუმში სამკურნალოთ ჩამოსულთ დახვდება მთავარ საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი ავტომობილით. ცნობებისათვის უნდა მიმართონ: ბათომი, აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო. ლენინის ქუჩა.

აჭარისტანის კურორტების მთავარი სამმართველო.

6—6

---

1 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. გამგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუხჰალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუხჰალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე **ბუხჰალტერიის საფუძვლებს** (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიანურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: **საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ** (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), **სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სამომხმარებლო-საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუხჰალტერიას, კალკულიაციას, არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა აღმშენებლობას და სავაჭრო კორესპონდენციას** (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა **საგნის პრაქტიკულად შესწავლას.**

ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 6 ს. თავართქილაძესთან.

ნის. 57 9—0.

გამოვიდა და იყიდება

ექიმ. ავთ. ინგოროყვას წიგნაკი

„აგარაკი ბახმარო“.

3—3 № 2485.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგანი ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

25—2

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე 0 ◦0 ტრიპერი, სიფილისი 0 ◦0

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე სახლი კირკის კუთხიდან.

25—24 ქ. № 2320

დაჰკარგე დაზღვევის ფურცელი № 4060 შესაფერი სურათით, გაუქმებულად ჩაითვალოს. ვლადიმერ ლასაძე ქუთაისი.

2585 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 18012 ორი რკ. გზ. „რაზოვი“ ბილეთი 5 სულისა და მოწმობა 3 სულის მზრუნველობაზე, მარიამ თხელიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2578 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა რკინის გზის „დამცველ რაზმის განყოფილებიდან მოცემული ბერძე იშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

2580 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 1938 ანნა ალფეზ კრელაშვილის ასულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

2579 1—1

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 608. ჩაითვალოს გაუქმებულად. სპირიდონი გარდავა.

2582 1—1

დაჰკარგე პირადობის წიგნაკი № 235 გრიგოლ ქიტესაძე სხირტლაძის სახელზე, მიღებული სოროს რაიაღმასკომიდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2587 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა მილანია სანაიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2589 1—1

დაჰკარგე მანგლისის და საყდრიონის სოფლის საბჭოების ორი ცალი საგერბო ბეჭედი და ორი ცალი ბლანკის შტამპები. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება.

ნის. 537 1—1

დაჰკარგე საკავშირო წიგნაკი განათლების მუშაკთა კავშირისაგან მიღებული № 3306 ანნა რევიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

2591 1—1

დაჰკარგე მეტრიკული მოწმობა დანდუროვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ.

2588 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.